# 21 მარტი, რომელიც დამნაშავე ნაციონალური პარტიის ნარჩენებმა „ახალი ფერადი რევოლუციის დღედ“ დანიშნეს, თვითონ ამ ნარჩენების დასამარების დღედ უნდა იქცეს!


# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 5 მარტი, 2015 წელი.

№41 (7686)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.


## ლარის დევალვაციამ საზოგადოების სული დააყენა ⑤

გიორგი ქადაგიძეს იმპიჩმენტი ემუქრება?



## მტყუან-მართლის ნაზავი ჭორი

### საქართველოს საპატრიარქოს განცხადება



**საქართველოს საპატრიარქო უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს „პატრიარქმა ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დედა გიული ალასანია დაიბარა და მიხეილ სააკაშვილთან დააბარა, რომ „დაბრუნდეს და ქვეყანას მიხედოს“.**

ამასთან დაკავშირებით, საპატრიარქო განცხადებას ავრცელებს, რომელსაც „ინტერპრესნიუსი“ უცვლელად გთავაზობთ.

**„სოციალურ ქსელებში ვრცელდება ინფორმაცია, თითქოს კათოლიკოს-პატრიარქმა თავისთან დაიბარა ქალბატონი გიული ალასანია, რათა მას „მიშასათვის გადაეცა, დაბრუნდეს და ქვეყანას მიხედოსო“, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. როგორც ჭორების უმრავლესობა, ეს ინფორმაციაც მტყუან-მართლის ნაზავია: ქალბატონი გიული მართლაც იყო მოსული საქართველოს საპატრიარქოში იანვრის პირველ რიცხვებში ოღონდ თავისი სურვილით და იმ მიზნით, რომ სხვა მოქალაქეების მსგავსად, მისი უწმინდესობისათვის მიელოცა დაბადების დღე, რასაც იგი გასულ წლებშიც აკეთებდა; ვიღაცას კი ძალიან სურს, სხვა ელფერი მისცეს ამ ჩვეულებრივ ფაქტს. სხვათა შორის, ქალბატონი გიული ალასანიას ახლობელი, ქალბატონი დარეჯან კუხიანიძეც იგივეს წერს თავის ფეისბუქის გვერდზე, მაგრამ რატომღაც ტირაჟირდება სხვების „სიმართლე“, მისი კი — არა“,** — აღნიშნულია საპატრიარქოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

## მე არც პუტინის მეხოტბე ვარ და არც რუსეთის მგალობელი! ③



## სახელმწიფო უწყებებში კვლავ დაუსჯელობის სინდრომი სუფევს? ⑥

## დამნაშავეს საკადრისად მიეზღვება ②

„ოცნების“ პასუხი სააკაშვილის რეჟიმის დროს დაზარალებულებს

## სასამართლო მაგთიკომის პოზიციის სამართლიანობას ადასტურებს

2015 წლის 4 მარტს, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულმა პალატამ თავისი გადაწყვეტილებით კიდევ ერთხელ ცხადყო მაგთიკომის პოზიციის მართებულობა. დღეს პალიტრა TV-მ სასამართლო პროცესი წააგო.

სასამართლომ არ დააკმაყოფილა პალიტრა TV-ის მოთხოვნა - პალიტრა TV-ის მიერ სიგნალის თანამგზავრამდე მიტანის გარეშე მაგთისატის სამომხმარებლო პაკეტში ტელეარხის განთავსებაზე.

სასამართლო გადაწყვეტილებამდე ეს საკითხი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მაგთიკომის სასარგებლოდ იყო გადაწყვეტილი.

პალიტრა TV-მ თავისი მოთხოვნის სამართლიანობაში ვერ დაარწმუნა ვერც სასამართლო და ვერც კომუნიკაციების ეროვნული კომისია, სადაც პროფესიონალურ დონეზე მოხდა საქმის განხილვა, თუმცა, მაგთიკომის იმიჯის შესალახად საქმეში ჩაუხედავი მკითხველი არაერთგზის შეიყვანა შეცდომაში.

### ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლის ოფიციალური კურსები

| | | | |
|---|---|---|---|
| EUR | 1 | ევრო | 2.4008 |
| USD | 1 | აშშ დოლარი | 2.1403 |
| GBP | 1 | დიდი ბრიტანეთის გ/სტ. | 3.5089 |
| RUB | 100 | რუსული რუბლი | 3.4484 |
| AZN | 1 | აზერბაიჯანული მანათი | 2.0568 |
| AMD | 1000 | სომხური დრამი | 4.4842 |
| UAH | 10 | უკრაინული გრივნა | 0.8393 |
| TRY | 1 | თურქული ლირა | 0.8528 |

**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..**

## ალიან-ჩალიანი

### ლარის გაუფასურებამ სახელმწიფო ვალის ზრდა გამოიწვია

საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური ადასტურებს, რომ ლარის გაუფასურებამ სახელმწიფო ვალის ზრდა გამოიწვია.

„ცხადია, როცა ვალი დაფიქსირებულია დოლარებში და მისი გადაანგარიშება ხდება, ლარში დაფიქსირებული ვალის მოცულობა გაზრდილია“, — უპასუხა ხადურმა ჟურნალისტების შეკითხვას.

ფინანსთა მინისტრს დეტალებზე არ უსაუბრია. მისი განმარტებით, მონაცემები ახლა ზუსტდება და მოგვიანებით გამოქვეყნდება.

### გოგი ოჩიაურს პარლამენტში ლევან თარხნიშვილი შეცვლის

დეპუტატ გოგი ოჩიაურს პარლამენტში ლევან თარხნიშვილი შეცვლის. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო სიაში ოჩიაურის ადგილმონაცვლე სწორედ თარხნიშვილია.

ოჩიაურმა პარლამენტს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სადეპუტატო უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თხოვნით მიმართა.

პარლამენტში, ნაციონალური მოძრაობის შემადგენლობაში, კიდევ ერთი ახალი დეპუტატი - ეკა ხერხეულიძე შევა, რომელიც უკრაინის გენერალური პროკურორის მოადგილის პოსტზე დანიშნული დავით საყვარელიძის ადგილმონაცვლეა.

### რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ვითარება ევროპამ არასათანადოდ შეაფასა

რუსეთსა და საქართველოს შორის 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ვითარება ევროპამ არასათანადოდ შეაფასა. თუმცა, ამისგან განსხვავებით უკრაინის კრიზისი კიდევ უფრო მძიმე ეპიზოდია, — ამის შესახებ შვედეთის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი კარლ ბილდტი „Europe's World“-ისთვის დაწერილ სტატიაში აღნიშნავს.

„ნაკლებად სავარაუდოა, რომ რუსეთის რევიზიონიზმი ყირიმის ანექსიით ან დონბასის რეგიონის დაკავებით დასრულდეს“, — წერს ბილდტი. მისივე თქმით, თუ ევროკავშირი ახლა რუსეთის ქმედებებს არ შეეწინააღმდეგება, სოლიდარობას, რის შედეგადაც ევროკავშირი შეიქმნა, სერიოზული საფრთხე შეექმნება. შვედეთის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი ასევე აღნიშნავს, რომ ევროკავშირის დღის წესრიგში უპირველესი ადგილი უნდა დაეთმოს საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას.

### ქუჩების რეაბილიტაციაზე 9 მილიონი ლარი დაიხარჯა

დედაქალაქის მერის თქმით, ბოლო პერიოდში ოპონენტების მხრიდან აჟიოტაჟია ატეხილი გზებზე სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით. ნარმანიამ აღნიშნა, რომ 2014 წლიდან დაიწყო და 2015 წელში გაგრძელდა 23 ქუჩის საგზაო სამუშაოების რეაბილიტაცია, რომელთა ჯამური ღირებულება 9 მილიონ ლარს შეადგენს.

მისივე განცხადებით, ამ სამუშაოების უმეტესობა უკვე დასრულებულია. ამჟამად სამუშაოები მიმდინარეობს 10 ქუჩაზე. ნარმანიამ აღნიშნა, რომ მიმდინარეობს ზამთრის შედეგად დაზიანებული ქუჩების აღდგენა, შესასრულებელია 22 000 კვ.მეტრის სამუშაო.

მისივე განცხადებით, გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები გაზაფხულზეც აქტიურად გაგრძელდება.

## დღის მთავარი თემა: ნაბიჯი სამართლიანობისკენ

# დამნაშავე დაუსჯელი არ დარჩება!!!

## „ოცნების“ პასუხი სააკაშვილის რეჟიმის დროს დაზარალებულებს

**ორწელიწად ნახევრის წინათ დაანონსებული სამართლიანობის დამკვიდრების პროცესი დაიწყო. „ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“, თუმცა, რატომ დააგვიანდა ამ საქმეს ასე ძალიან, ამაზე მოქმედ პრემიერ-მინისტრს საკუთარი არგუმენტები აქვს, „ამ ორი წლის განმავლობაში ადამიანების დარღვეული უფლებების აღსადგენად ძალ-ღონეს არ ვიშურებდით. ჩვენ კარგად გვესმის ჩვენი პასუხისმგებლობა და ვალდებულება ამ ადამიანების წინაშე. 2012 წლის ოქტომბრის შემდეგ ჩვენმა მთავრობამ ათასობით ასეთი საქმე შეისწავლა. მოგეხსენებათ, დაკავებული არიან და აღძრულია საქმე ყოფილი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების მიმართ, იმათ მიმართ, ვის საქმიანობასაც უკავშირდება წლების განმავლობაში გამეფებული უკანონობა, უსამართლობა, ადამიანთა დაჩაგვრისა და ღირსების შელახვის ფაქტები. ჩვენი მოქალაქეების დარღვეული უფლებების აღდგენას თავისი წესი და რიგი აქვს, დრო სჭირდება და რაც არ უნდა გვეჩქარებოდეს, ხელოვნურად პროცესებს ვერ დავაჩქარებთ. სამართლიანობის აღდგენის სახელით გადადგმულ ნაჩქარევ ნაბიჯებს შეიძლება ჩვენი ქვეყნის და მომავალი თაობის ინტერესები შეეწიროს, რაც სრულიად დაუშვებელია. აქედან გამომდინარე, ვერ ვიჩქარებდით, ყველა პროცესს კარგი გაანალიზება და გააზრება სჭირდებოდა. მაგრამ ერთი რამ ცხადია — პასუხი უნდა აგოს ყველამ, ვინც ამ დანაშაულების ინიციატორები და ორგანიზატორები იყვნენ და ეს უნდა იყოს გაკვეთილი ყველა ხელისუფლებისთვის: რომ საქართველოში დამნაშავე დაუსჯელი არ დარჩება, ვინც არ უნდა იყოს ის“, — განაცხადა ამას წინათ ღარიბაშვილმა და დასძინა, რომ კანონზე მაღლა არავინ უნდა იდგეს.**

გუშინ საქართველოს მთავარ პროკურატურაში ახალი დეპარტამენტის პრეზენტაცია მოეწყო, რომელიც სამართალწარმოების პროცესში ჩადენილ დანაშაულებს გამოიძიებს. ახალ დეპარტამენტს ირაკლი ნადარეიშვილი უხელმძღვანელებს, ხოლო მის მოადგილედ კოკა კაციტაძე დაინიშნა.

როგორც საქართველოს მთავარმა პროკურორმა გიორგი ბადაშვილმა აღნიშნული დეპარტამენტის პრეზენტაციაზე განაცხადა, ამ დეპარტამენტში დასაქმებულ კადრებზე საჩივარი არასდროს შესულა არც ერთ სამართალდამცველ უწყებაში. **„მინდა, ყურადღება გავამახვილო საკადრო გადაწყვეტილებებზე, რომლითაც დაკომპლექტდა აღნიშნული დეპარტამენტი. ჩვენ გავითვალისწინეთ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი და ამ საკითხს მაქსიმალური სიფრთხილით მივუდექით. თანამდებობები დაიკავეს მაღალი პროფესიული უნარ-ჩვევების მქონე პროკურორებმა და გამომძიებლებმა, ასევე ჩართული არიან დაზარალებულთა კოორდინატორები. დეპარტამენტში დასაქმებულ კადრებს სამართალწარმოების პროცესში და იმ პროცესებთან, რაზეც არსებობს განცხადებები და კითხვები ან პრეტენზიები არანაირი შეხება არ ქონიათ. მათზე, საქართველოს პროკურატურაში ან სხვა სამართალდამცველ უწყებაში არანაირი განცხადება და საჩივარი შემოსული არ არის“**, — განაცხადა ბადაშვილმა.



მისივე თქმით, დეპარტამენტის შექმნის გადაწყვეტილება საქართველოს მთავრობის და მთავარი პროკურატურის აქტიური თანამშრომლობის შედეგად არის მიღებული. დეპარტამენტი გახდება სწრაფი და ეფექტური მექანიზმი სამართალწარმოების მიმდინარეობისას და სასჯელის მოხდის პერიოდში ჩადენილი დანაშაულის გამოძიებაზე.

**„სპეციალიზებული სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბება განაპირობა მოქალაქეთა მიერ პროკურატურის სისტემაში განცხადებების სიმრავლემ და შინაარსობრივმა ერთგვაროვნებამ. სწორედ განცხადებების სიმრავლის გამო, სამართლებრივი რეაგირების მექანიზმების გასაუმჯობესებლად, ცალკეულ ფაქტებზე სწრაფი რეაგირებისა და ორგანიზაციული ხარისხის ასამაღლებლად მივიღეთ გადაწყვეტილება საჯარო მოხელეთა მიერ ჩადენილი შესაძლო დანაშაულის შესახებ ინფორმაციის შემცველ ფაქტებზე სამართალწარმოება გააგრძელოს სწორედ სპეციალიზებულმა დეპარტამენტმა“**, — განაცხადა მთავარმა პროკურორმა.

პროკურატურაში მთელი ქვეყნის მასშტაბით 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2015 წლის 1 იანვრამდე შემოტანილი განცხადებების შესწავლა და სისტემატიზაცია მოხდა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ამ განცხადებების და ცალკეული განცხადებების საფუძველზე უკვე დაწყებული სისხლის სამართლის საქმეების გადაცემა ახალი დეპარტამენტისთვის. გამოძიების მიმდინარეობისას მაქსიმალურად იქნება დაცული სამართლიანობის პრინციპი, დეტალურად იქნება შესწავლილი განცხადებაში მითითებული ფაქტები, მათ შორის, სახელმწიფოს სასარგებლოდ მოქცეული ქონების წარმომავლობის საკითხები და დაცული იქნება როგორც განმცხადებლის, ისევე მოხელის უფლებები და კანონიერი ინტერესები.

დეპარტამენტის სამოქმედო გეგმა და მუშაობის მეთოდიკა თავად დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ირაკლი ნადარეიშვილმა წარადგინა: **მადლობა ამ დიდი ნდობისთვის და მზად ვარ, გავამართლო მოლოდინი,** აღნიშნა მან. დეპარტამენტში ოთხი პროკურორი, ათი გამომძიებელი და ოთხი კოორდინატორი იმუშავებს. ეს უკანასკნელნი დაზარალებულებს ინფორმაციებს მოაწვდიან და სამართლებრივ კონსულტაციებს გაუწევენ.

პროკურატურაში შესული 52 ათას 530 განცხადებიდან 697 ქონების ჩამორთმევის ფაქტებს ეხება, ხოლო 3 ათას 495 უშუალოდ სამართალდამცავი პირების მიერ ჩადენილ დანაშაულებს. 367 საჯარო მოხელეზე უკვე დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა. ზოგადად 1000-ზე მეტი ეპიზოდია გამოძიებული, რადგან ხშირ შემთხვევაში დანაშაულს ერთი და იგივე პირები ჯგუფურად სჩადიოდნენ. როგორც წესი, ორგანიზაციული დანაშაულები ხდებოდა სასჯელაღსრულების სისტემაში. დანაშაულებს სჩადიოდნენ მაღალი თანამდებობის პირები და ციხის რიგითი თანამშრომლები: დანაშაულთა 98 პროცენტს ძალადობრივი ხასიათი ჰქონდა.

აღსანიშნავია, რომ უკვე დაწყებულია სისხლის სამართლებრივი დევნა ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნებზე: პრემიერ-მინისტრზე, თავდაცვის ორ მინისტრზე, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრზე, სასჯელაღსრულების მინისტრზე, იუსტიციის მინისტრზე, თბილისის მერზე...

147 პირზე გამამტყუნებელი ვერდიქტი გამოიტანეს, 29 პირის მიმართ გამამართლებელი განაჩენი დადგა, ხოლო დანარჩენებზე ძიება გრძელდება.

ამ ეტაპზე პრიორიტეტული იქნება 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2013 წლის 1 იანვრამდე პროკურატურაში შესული განცხადებები.

* * *

პრეზენტაციას პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ესწრებოდა.

**„ორ წელზე მეტი დრო არის გასული მას შემდეგ, რაც ნაციონალურ მოძრაობას პოლიტიკური განაჩენი გამოუტანა ჩვენმა ხალხმა, ბევრ ჩვენს მოქალაქეს აღუდგა დარღვეული უფლებები, მაგრამ ამის მიუხედავად დარჩა იარები, რომლებსაც სჭირდება მოშუშება, იარა ვერ მოშუშდება, სანამ თავისი სახელი არ დაერქმევა ყველა დანაშაულს და პასუხი არ მოეკითხებათ ამ დანაშაულში მონაწილეებს, განსაკუთრებით, ვინც ეს დანაშაული დაგეგმა და შეუკვეთა.**

**ეს არის ჩვენი ქვეყნის, მოქალაქეების ღირსების საქმე. ამის გარეშე წარმოუდგენელია ცივილიზებული, თანამედროვე, დემოკრატიული სახელმწიფოს აშენება, სამართლებრივ და ევროპულ ღირებულებებზე დაფუძნებული ქვეყნის აშენება, რისი ამბიციაც ჩვენს ხელისუფლებას აქვს“,** — აღნიშნა ღარიბაშვილმა.



მისი თქმით, ჩვენი ხალხი წლების განმავლობაში დამცირებული და შეურაცხყოფილი იყო. ბევრ მათგანს ჩამოართვეს ქონება და გააკოტრეს, ბევრი ციხეში მოხვდა, უკანონო, უსასტიკეს, შეურაცხმყოფელ, არაადამიანურ პირობებში ამყოფეს, იძალადეს, ჯანმრთელობა შეურყიეს, ცხოვრება დაუნგრიეს.

**„დღეს ეს ადამიანები მოთმინებით ელიან პასუხს. უამრავი დოკუმენტი არსებობს, არსებობს მტკიცებულებები, თუ როგორ იყენებდნენ დაკავებასა და წამებას პოლიტიკური ანგარიშსწორებისთვის, ქონების კონფისკაციისთვის და ბევრი სხვა უკანონო მოქმედებებისთვის. სააკაშვილის რეჟიმმა 300 ათასი ადამიანი გაასამართლა, 300 ათასი საქართველოს მოქალაქე. ოთხნახევარმილიონიან საქართველოში ეს უზარმაზარი ციფრია. ამას არაფერი აქვს საერთო დემოკრატიასთან, ადამიანის უფლებებთან, აღარაფერს ვამბობ მორალზე და ადამიანობაზე“,** — განაცხადა პრემიერმა.

საშუალო და ქვედა რგოლის საჯარო მოხელეებს, რომლებმაც უფლებამოსილებას გადაამეტეს, მაგრამ სისხლის სამართლის დანაშაული ჩადენილი არა აქვთ, შესაძლოა, პასუხისმგებლობა არ დაეკისროთ.

მსჯელობენ იმაზე, რომ საშუალო და ქვედა რგოლის საჯარო მოხელეებს, რომლებმაც გადაამეტეს თავიანთ უფლებამოსილებას, მაგრამ არა აქვთ ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაული, არ დაეკისროთ პასუხისმგებლობა. მთავარ აქცენტს, ალბათ, გამოძიება გააკეთებს დანაშაულის ინიციატორსა და ორგანიზატორზე. დეპარტამენტი გამოიძიებს საჯარო მოხელეების მიერ ჩადენილ იმ დანაშაულებრივ ფაქტებს, რომელთა შედეგადაც მოქალაქეებს მიადგათ ფიზიკური და მატერიალური ზიანი. შეღავათები გაეწევათ იმ პირებს, რომლებიც გამოძიებასთან ითანამშრომლებენ.

ირაკლი ღარიბაშვილმა იმედი გამოთქვა, რომ პროკურატურაში შექმნილი ახალი სტრუქტურა თავს გაართმევს ამ ურთულეს ამოცანას და რამდენადაც შესაძლებელია მოკლე ვადაში კვალიფიციურად გამოიძიებს და პასუხს გასცემს ყველა იმ კითხვას, რომლებიც როგორც კონკრეტულ დაზარალებულ პირებს, ისე მთელ საზოგადოებას აღელვებს.

**„მინდა, წარმატებები ვუსურვო ახალ დეპარტამენტს, მთლიანად პროკურატურას, მის ხელმძღვანელობას, თქვენ ძალიან ეფექტურ საქმიანობას ეწევით. დარწმუნებული ვარ, ყველა თქვენგანს კარგად აქვს გაცნობიერებული ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც გეკისრებათ ქვეყნისა და ხალხის წინაშე. მჯერა, რომ ჩვენ ამით კიდევ ერთ ნაბიჯს ვდაგმთ სამართლებრივი სახელმწიფოსკენ, რომელშიც მოქალაქეებს ექნებათ განცდა და გარანტია იმისა, რომ ჩვენი სახელმწიფო იცავს მათ უფლებებს, ღირსებას, საკუთრებას და უსაფრთხოებას“,** — დასძინა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მთავრობაში ამბობენ, რომ ვენეციის კომისიის მოწოდება, შექმნილიყო მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისია, არ შედგა. მაგრამ ახალი დეპარტამენტი სწორედ ამის ალტერნატივაა. ხელისუფლება აპირებს, ათასობით გაუბედურებულ ადამიანს ბოლოს და ბოლოს პასუხი გასცეს. პროკურატურაც იმედოვნებს, რომ თავს გაართმევს ამ ურთულეს ამოცანას. მოკლედ, მალე გავიგებთ, რისი უნარი აქვთ სამართალდამცავებს და იქნება თუ არა ახალი დეპარტამენტი კიდევ ერთი ნაბიჯი სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობისკენ!

**თეა მოსია**

## ინფორმაცია

### თავდაცვის ატაშეებს ახალი სარდლები წარუდგინეს

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბში ახლად დანიშნული სარდლებისა და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლების შეხვედრა გაიმართა.

გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ-მაიორმა ვახტანგ კაპანაძემ სამხედრო ატაშეებსა და ნატოს სამეკავშირეო ოფისის სამხედრო წარმომადგენელს წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდალი, პოლკოვნიკი ლევან ბერია, ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდალი, პოლკოვნიკი მამუკა ცხვედიანი და O-5/9 სტრატეგიული დაგეგმვის, სამხედრო პოლიტიკისა და სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობის დეპარტამენტის უფროსი, პოლკოვნიკი მამუკა შიუკაშვილი წარუდგინა.



# მე არც პუტინის მეხოტბე ვარ და არც რუსეთის მგალობელი!

**წინამდებარე წერილის დაწერა ორმა მცირე ინციდენტმა მაიძულა, რომელთაგან ერთი, მედიაკავშირ ობიექტივის** (სადაც ყოველ ოთხშაბათს საავტორო გადაცემა „ავი მუსაიფი“ მიმყავს) **პირდაპირ ეთერში შემემთხვა, ხოლო მეორე, გაზეთის რედაქციაში,** სადაც ასევე „ავი მუსაიფის“ რუბრიკით სტატიებს ვაქვეყნებ ხოლმე.

**პირველ შემთხვევაში ჩემთვის უცნობი მაყურებელი სატელეფონო ჩართვით „შემომივარდა“ პირდაპირ ეთერში** (როგორც შემდეგ, ასევე სხვა მაყურებლის სატელეფონო ჩართვიდან შევიტყვე, „პროფესიონალი მრეკავი“, ვინმე სოსო დავარაშვილი ყოფილა. რეკავს და „რეკავს“ — ანთხევს ხოლმე ურაპატრიოტულ გესლსა და ბალღამს). **კრემლის აგენტები გვეძახა მე და ჩემი გადაცემის სტუმარს, გიორგი ბერეჟიანს?!** თანაც ისე, რომ სიტყვა არ ჩაგვაგდებინა, მიგვალანძღა, „გადაგვიარ-გადმოგვიარა“ და კმაყოფილი „გაშპა“ პირდაპირი ეთერიდან...

**რაც შეეხება მეორე „ჩპ“-ს, ჩემს უფროს მეგობართან მომივიდა, რომელმაც ჩემს ბოლო პუბლიკაციაში** („კიევის რუსეთიდან რუსეთის კიევამდე“) **მხოლოდ ვლადიმერ პუტინის ქება დაინახა და, ასე, სამშობლო რამ შეგაძულა, რომ მტერს აქებ-ადიდებო, მისაყვედურა...**

აქედან და არა მხოლოდ აქედან, არამედ უპირატესად იქიდან გამომდინარე, რომ რუსეთ-საქართველოზე საუბარი (მით უმეტეს დღეს), რბილად რომ ვთქვათ, ერთობ დელიკატური და საფრთხილოც არის, გადავწყვიტე მთელი ჩემი სიყვარულის თუ სიძულვილის მოტივაციები მკითხველის სამსჯავროზე გამოვიტანო. დე, მკითხველმავე გამომიტანოს განაჩენი...

მაგრამ, მოდით ცოტა შორიდან დავიწყებ...

ზემოთ გიორგი ბერეჟიანი ვახსენე, მაგრამ სანამ ჩემი გადაცემის სტუმარი გახდებოდა, დაახლოებით ნახევარი საუკუნის წინათ, ერთ კლასში ვისხედით და ერთად დავამთავრეთ მაშინ გ.ტაბიძის სახელობის თბილისის ერთ-ერთი პრესტიჟული საშუალო სკოლა, რომელსაც ახლა უბრალოდ 51-ე საჯარო სკოლად უხმობენ!..

**ბერეჟა, როგორც კლასელები ვეძახდით, ქიაჩელის 10-ში ცხოვრობდა, რომელიც ჩვენი შატალოების საწყისი შტაბი, ხოლო საღამოობით და, როგორც წესი, ხშირად დილამდე კლასელების „ტუსოვკის“ ადგილი იყო!**

**კარგად მახსოვს ბერეჟას ოთახის ინტერიერი — კედელზე მიხატული ამერიკის დროშა და როკანსამბლების გრძელთმიან ვარსკვლავთა კუსტარული (ნაღდი პლაკატები მაშინ, 60-იანი წლების ბოლოს და 70-იანების დასაწყისში, სად იყო?) ფოტოები, საბჭოთა მაგნიტოფონი კომეტა და პირველი საბჭოთა სტერეო „პრაიგრივატელი VEGA-101“ აჟღერებულ ძირითადად ბიტლების, ხოლო შიგადაშიგ ფარფლების,ზეპელინგების (რა ვქნა, ასე „გოიმურად“, ანუ ქართულად ვახსენებდით ცნობილ ანსამბლებს) ჰიტებზე ქანცის გაწყვეტამდე ცეკვა; ოდესის შავ ბაზარზე, ან სურამელ სპეკულანტებთან ნაყიდი ჯინსები; თბილისის „ციგანსკი პასიოლოკში“ ნაყიდი „კევი“, „კენტი“ თუ „მალბორო“ „და კოკა-კოლაზე“ (თავად ეს სიტყვა, ლამის ანტისაბჭოთად ითვლებოდა) მხოლოდ ოცნება; ზეპირად ვიცოდით „შესანიშნავი შვიდეული“, ვესტერნი, რომლითაც აღდგომის ღამეს „გვაბამდნენ“ ტელევიზორებთან, რათა ეკლესიაში არ წავსულიყავით და ა.შ. სხვა მრავალი...**

აი, როგორ ვაფეტიშებდით და ველტვოდით ყოველივე დასავლურს, პირველ რიგში კი, ამერიკულს და, შესაბამისად, როგორ გვძულდა მაშინ ყოველივე საბჭოური და მისი სიმბოლო —ყოველივე რუსული?!

სწორედ ჩემმა ამერიკანიზებულმა და სხვადასხვა დასავლური „გოლოსებით“ (ამერიკის ხმა, რადიო „თავისუფლება“, ბი-ბი-სი) გამოლენჩებულმა თაობამ დაიდო ლომის წილი რონალდ რეიგანის მიერ ბოროტების იმპერიად წოდებული საბჭოეთის დანგრევაში, აშშ-ის პრეზიდენტის მიერ, რომელიც დღეს თითქოს ჩვენი გუშინდელი სიბრიყვის სიმბოლოდ წამოპლაკულა რიყეზე!

**დიახ, სიბრიყვის და მეტიც, იმედგაცრუებისაც, რადგან ყბადაღებული ადამიანის უფლებების, კისელის მდინარეების და შოკოლადის ნაპირების, „შესანიშნავი შვიდეულის“ პერსონაჟი კრისის მსგავსი რაინდების ნაცვლად, გასული საუკუნის მიწურულს და ვიდრე დღემდე, ნამდვილი „კრისების“ — ამერიკელი ვირთხების მიერ დანგრეულ-დაშლილი ქვეყანა, გადაგვარება-გადაშენების გზაზე შემდგარი ქართველი ერი შეგვრჩა ხელში...**

ამ ყველაფერმა კი, ჩემს თაობაში რაღაც-რაღაცების გადაფასება, გნებავთ, რევიზია გამოიწვია...

მაგალითად, 90-ანი წლების ჩაბნელებულ, გაყინულ საქართველოში, უეცრად აღმოვაჩინეთ, რომ სსრკ იმპერია, განსაკუთრებით მისი არსებობის ბოლო პერიოდში, არც ისეთი ბოროტი ყოფილა, როგორც ამას ბატონი რეიგანი უბნობდა?!

**დღეს, რომ „ოთუსბირს“ გვახდევინებენ: გაზი, შუქი, წყალი (თქვენ წარმოიდგინეთ, ცხელიც მოთხრიშინებდა), ცენტრალური გათბობა, სწავლა-განათლება, ექიმი, წამალი და ა.შ. სხვა მრავალი სიკეთე პრაქტიკულად უფასო და რაც უმთავრესია, ეს ელემენტალური, სასიცოცხლოდ აუცილებელი საჭიროებები, საზოგადოების ყველა ფენისთვის ერთნაირად ხელმისაწვდომი იყო!**

ჰოდა, რა გვინდოდა მეტი, თავისუფლება, დამოუკიდებლობა?

ის ქვეყანა, სადაც ბატონები ვიყავით ქართველები, დავანგრიეთ და ახლა, მონობისგან თავისუფლები, დასავლეთელი პენსიონერების უკანალებს ვწმენდთ!

ეს არის დამოუკიდებლობა?

ისემც კარგი დაგემართოთ!

აღარაფერს ვიტყვი იმაზე, რომ აშშ მართავს ყველას და ყველაფერს საქართველოში!

რა, ტყუილია?

**რუსეთის იმპერიის ნაწილად ქცევამდე ქართველ ერს გადაშენებასთან ერთად გათათრების (გამაჰმადიანების), ანუ გადაგვარების საფრთხეც ემუქრებოდა! იქამდეც კი, რომ XVI-XVII საუკუნეების ქართლ-კახეთში, სადაც 120 (!!!) წელიწადი ქრისტიანი მეფე არ ჰყოლიათ, ქართველ დიდებულთა უმრავლესობას ქართულ მაგიდასთან ქრისტიანულად ჯდომა დავიწყებოდათ და თათრული წესით, ხალიჩებზე წამოწოლილნი ქეიფობდნენ. უფრო სწორედ კი ღრეობდნენ.**

ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ მიმართეს მამა-შვილმა მეფეებმა თეიმურაზმა და ერეკლემ თავიანთი მზერა მტკიცედ და შეუვალად ერთმორწმუნე რუსეთისკენ, ესეც იყო— ისლამურ ოკეანეში ფიზიკურ განადგურებას რომც გადავრჩენოდით, ზნეობრივი განადგურება არ აგვცდებოდა, რაც იგივე სიკვდილი და ამოწყვეტა იქნებოდა ქართველი ერისა!

დღეს სხვაგვარი „გათათრების“ საფრთხე გვემუქრება... ნეოლიბერალურ ოკეანეში ჩავარდნილ საქართველოს კისრისტეხით მიაქანებენ უსქესო, უღმერთო დასავლეთისკენ, რომლის ლიდერი ბარაკ ჰუსეინ ობამა პირდაპირ აღიარებს, რომ მისი მთავარი მიზანი მთელს მსოფლიოში ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონებაა!

ახლა, მავანი მეტყვის, დასავლეთში სხვანაირად მოაზროვნე ხალხიც არსებობსო!

კი ბატონო, სწორედ მაგნაირ დასავლეთს ვაფეტიშებდით მე და ბერეჟა.

უფრო მეტიც, ნორმალური ორიენტაციის ხალხი დღესაც უმრავლესობას შეადგენს იქ, მაგრამ, სამწუხაროდ, ე.წ. „მსოფლიოს სახელისუფლებო სტრუქტურებში“, ანუ იქ, საიდანაც იმართება თანამედროვე დასავლეთი, უმრავლესობა პედერასტებს, ან მათ თანამგრძნობ ნეოტროცკისტებს ეკუთვნით!

**ძალაა, ძალა და დიდი ფული, ლგბტ-პედერასტების ხელში, რომლებმაც აგერ სულ ახლახან ჩვენს თვალწინ, პარიზში ამაყი ფრანგების მილიონიანი (!!!) პროტესტი „დაიკიდეს“ და ერთსქესიანი ქორწინებები, პლუს, ასეთ ბინძურ წყვილებს შვილების აყვანის უფლებაც მისცეს, ჰოდა, ჩვენ რას გვიზამენ, როცა ჩვენი დრო მოვა?**

არადა მოვა, თუ ასე გავაგრძელეთ, აუცილებლად მოვა...

მე, წვერიანი კონჩიტა მარტინესის დასავლეთი არ მინდა, თორემ მატეო ფალკონეს მსგავს ვაჟკაცურ დასავლეთს ღმერთმა გაუმარჯოს!

წინა წერილში ვთქვი და აქაც გავიმეორებ — რუსი იმას მაინც არ მიქადაგებს, ბიძაშვილი მოიყვანე ცოლად და თანაც კაციო!

ეგეც არ იყოს და დავუშვათ გადავურჩით „გათათრებას“, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა თუ გვინდა, ეს როგორ, რუსეთის ნების გარეშე წარმოსადგენია?

**უკრაინაში, რაც არ უნდა გეოპოლიტიკური წიაღსვლები ვაკეთოთ, როგორც რუსები იტყვიან, „პო ბოლშომუ შჩოტუ“, ნეოლიბერალურსა და კონსერვატორულ იდეოლოგიებს, გნებავთ, მართლმადიდებლობასა და სატანიზმს შორის ბრძოლაა!**

აქედან გამომდინარე თითქოს პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ მორიგი „გათათრებისგან“ ხსნას ისევ რუსეთისგან მოელის და არა მხოლოდ საქართველო, არამედ მთელი სამყაროს უმრავლესობა!

**ერთადერთი რუსეთი გაჩხერვია ყელში მსოფლიო ბატონობაზე მეოცნებე ამერიკას, რომლის მიზანიც, როგორც ზემოთ მოვიხმეთ ბარაკ ობამა, სხვა, წმინდა წყლის გეოპოლიტიკურ ამბიციებთან ერთად, მთელი პლანეტის გაცისფერების დაუფარავი სურვილიც არის!**

ამ ანტიღვთიური, სატანისტური მიზნის საწინააღმდეგო კანონი, მხოლოდ რუსეთს აქვს მიღებული!

ესაა რომ აგიჟებთ და აცოფებთ მსოფლიო სატანისტებს, რომ უძლიერესი ბირთვული პოტენციალის მართლმადიდებელ სუპერსახელმწიფოს „ყურებზე ხახვს ვერ აჭრიან“, თორემ, რომ არა რუსეთი, არც მართლმადიდებელი ეკლესია იქნებოდა ძლიერი და ლგბტ-პედერასტული უმცირესობის დიქტატურასაც ველარაფერი აღუდგებოდა!

ზემოთ რაღაცები გადავაფასეთმეთქი და ეს რაღაც, სტალინის ფენომენის აღიარებაც არის!

მაშინ, მართალია, ეს დაწყევლილი ერთსქესიანი ქორწინებები არ იდგა დღის წესრიგში, თორემ სხვაფრივ, როგორც დღეს ნეოტროცკისტები, მასონი ტროცკისტები მაშინაც ყველაფერ ტრადიციულ, ეროვნულ ღირებულებებს, მათ შორის, ოჯახის ინსტიტუტსაც ებრძოდნენ და „კოლონტაები“ ტოტალურ გარყვნილებასაც ქადაგებდნენ!

ანუ ის, რასაც დღეს თანამედროვე ნეოტროცკისტები აკეთებენ, იოსებ სტალინმა შეაჩერა მინიმუმ 60-70 წლით!

30-იანი წლების რეპრესიებიც, სწორედ მასონტროცკისტების განადგურებას ისახავდა მიზნად, რასაც ბევრი უდანაშაულოც შეეწირა, მათ შორის, ბაბუაჩემი ჯვებე მხეიძეც!!!

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ჯეელობაში სტალინის სახელის გაგონებაზე ლამის „კენჭის გავლა“ მემართებოდა, ახლა მგონი, გრიშა ონიანზე უფრო მეტი სტალინისტი ვარ...

დაბოლოს, ჩემი სიყვარულის თუ სიძულვილის ასახსნელად, მუშნი ზარანდიას პერიფრაზირებას მივმართავ:

**რუსეთისკენ იმიტომ ვიხედები, რომ უახლოეს ხანებში ჩემი სამშობლოს გადარჩენის შანსს სხვაგან ვერ ვხედავ!**

რაც შეეეხება, რუსეთის ოკუპანტობას, ნურც თურქეთის მიერ საქართველოს ოკუპირებული და რუსეთისგან



განსხვავებით, სამუდამოდ მიტაცებული ტერიტორიები დაავიწყდებათ, პუტინის მიმართ ჩემს სიყვარულზე ქოქოლის დამყრელ პატრიოტებს!..

**დავით მხეიძე**

## ◉ კაკალ გულში

### წეხცილოჯანი თეხაზები

- **სიტყვა „მუშაკი“ კომუნისტური გადმონაშთია. უკეთესია სექს-მენეჯერი ან სექს-ოფიცერი ვიხმაროთ!**
- **ერთიც ზურაბ ირაკლის-ძე აბაშიძეა და მეორეც ზურაბ (რახან მამის სახელები წაგვართვეს) თითქმის ირაკლის-ძე აბაშიძე, ოღონდაც, ერთი, — კაცია, მეორე, — თავისუფალი დემოკრატი.**
- **ზურაბ აბაშიძესთან (ირაკლიევიჩთან) ჩვენ მუდამ დიპლომატიური ურთიერთობები გვქონდა, მაგრამ შემდეგ იგი მარაქაში გაერია და რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდაო! — სწორედ ასე განაცხადა თავისუფალმა დემოკრატმა ვიქტორ დოლიძემ და თუ ვინმეს არ სჯერა, აგერაა ტვ „პალიტრა“.**
- **გამჭვირვალობის ერთეული - ური; დიდი გამჭვირვალობის — მეგაური; ძალიან დიდი გამჭვირვალობის — გიგაური.**
- **ვთქვათ, ნემცოვი მართლა პუტინს მოეკლა, მედვედევს „კანტროლნი“ დაეხალა და „ზა რულიომ“ ლავროვი ყოფილიყო, მერე, ნაცებს რა ხეირი, ამით?**
- **საგანელიძეს, ეტყობა, ეწყინა, ქუცნაშვილი რომ ამჯობინეს...**

**რა ადვილად ტოვებს პარლამენტარის ხელფასს? პრინციპული ახალგაზრდაა, უყვარს თავისი თავი სამშობლოში...**

**დაბუჯურობდა ქუთაისში და იყო, ვის რას უშავებდა? პატარა კაცი იყო, რასაც ჩასძახებდნენ, იმას ამოსძახებდა. განა, იმიტომ, რომ თავისი აზრი არ ჰქონდა? უბრალოდ, ბიძინას „აზრი“ უფრო „ჰქონდა“...**

- **ეს გირშელი თუ გიშერი რა პონტში ჰყავთ „მიშისტებს“? თვალი რომ არ ეცეთ, ხომ?**
- **მანანა კობახიძე უკიდეგანოდ ნიჭიერი, მაგრამ ზარმაცი ბავშვი ყოფილა...**
- **ჩემი ანგარიშით, ზეგ, კასპაროვი უნდა მოკლას პუტინმა. არა, ვიტყუები, მაზეგ მოკლავს...**
- **ენოტისებრ ძაღლ იყოს თქვენი მკვდრისადა.....**

**ამოკრიბა**
**გია გაბრიჭიძემ**

ქართული სიტყვის ხელხვავიანი ოსტატი



# მწერალი, მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე

## რევაზ მიშველაძე – 75

**75 წლისა შესრულდა თანამედროვე ქართული ლიტერატურის კლასიკოსი, საქართველოს სახალხო მწერალი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე რევაზ ავქსენტის ძე მიშველაძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:**

ბატონო რევაზ!

ჩვენო ძვირფასო და საყვარელო კოლეგავ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები ღრმა პატივისცემით მოგესალმებიან XXI საუკუნის ქართული მწერლობის უთვალსაჩინოეს წარმომადგენელს, ჩვენი ქრისტესავით ჯვარცმული სამწერლო ორგანიზაციის ლიდერს და გილოცავენ დიდმნიშვნელოვან თარიღს თქვენს ცხოვრებაში – დაბადების 75-ე წლისთავს.

მთელი თქვენი ცხოვრებისეული გზა მშობელი ქვეყნის მსახურების ერთი მშვენიერი მაგალითია, თქვენი შემოქმედება სრულად გამოხატავს მშობელი ერის ფიქრებსა და მისწრაფებებს, ეხმიანება რა დენთის კასრს დამგვანებულ ჩვენს მშფოთვარე ეპოქას.

თქვენი მწერლური ნათლობა 1959 წელს შედგა, როდესაც ჟურნალ „ცისკარში" პირველი ნოველები დაბეჭდეთ. მას შემდეგ თქვენი, ჭეშმარიტად მწერლური ნიჭიერებით გაცისკროვნებული ნაწარმოებები სისტემატურად ქვეყნდება ჩვენს სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე წიგნებად, იდგმება თეატრების სცენაზე...

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ქართული ნოველის დიდოსტატი ბრძანდებით. თქვენს ნოველებში თანამედროვე საქართველოს მოზაიკური პანოა გადაშლილი, რომლებშიც დაკვირვებული თვალი და ყური ადვილად შეამჩნევს ბეწვის ხიდზე მავალი პატარა ქვეყნის მაჯისცემას, ქვეყნისა, რომელსაც გარშემო აფთრებად ქცეული სამეზობლო ახვევია და მხოლოდ მის ერთ წაბორძიკებას ელოდება. თქვენი შემოქმედების უმთავრეს დანიშნულებას მშობელი ერის გამოფხიზლება წარმოადგენს და კიდევ იმის მუდმივი შეხსენება, რომ დავით აღმაშენებლისა თუ გიორგი ბრწყინვალის შთამომავლებს მოდუნებისა და დაძაბუნების უფლება არა გვაქვს, თუკი გვსურს, საუკუნეების მიღმაც ამაყად ფრიალებდნენ ქართული ბაირაღები. ამიტომაცაა, რომ ყოველთვის ინტერესით ველით ხოლმე თქვენი პროზაული კრებულების გამოცემას, რადგანაც მათში დასმული პრობლემატიკა აქტუალური და საჭირბოროტოა. თქვენს რომანს („ჩურჩულს გადაჩვეული კაცი") და ნოველებს გამორჩეული იუმორი და ირონია გასდევს წითელ ზოლად, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ყოველივე ეს თქვენთვის თვითმიზანს არ წარმოადგენს, უფრო მეტიც, მათ მიღმა ტრაგიკული მოვლენებით აღსავსე დრამატული ცხოვრება ბორგავს...

თუ რამ გამოარჩევს თქვენს პროზას სხვათაგან, ეს უპირველესად მძაფრი კრიტიციზმი, პოლემიკური პათოსი, მდიდარი ფანტაზია და ლაკონურობა გახლავთ.

ლიტერატურის ისტორია გვერდს ვერ აუვლის იმ ფაქტს, რომ ქართულ ლიტერატურულ სინამდვილეში თქვენ ჟანრულად სრულყავით და საბოლოოდ დაამკვიდრეთ ნოველა. ამ თანმიმდევრულმა მწერლურმა რუდუნებამ განაპირობა თქვენი უაღრესი პოპულარობა. ასპარეზზე გამოსვლისთანავე ლიტერატურათმცოდნეების მხედველობის არეში მოექეცით. თქვენს შემოქმედებაზე დაწერილია წიგნები და დაცულია დისერტაციები.

ახალგაზრდა მწერლების ქომაგი და დამფრთიანებელი ბრძანდებით. ნიადაგ ზრუნავთ მათი ლიტერატურული დაოსტატებისთვის. ახალგაზრდების რიგებიდან განსაკუთრებით ნიჭიერებს გამოარჩევთ ხოლმე და უშურველად იღებთ მწერალთა კავშირის წევრად.

თქვენ შეძელით სააკაშვილის მძვინვარების უმძიმეს წლებში თანამოაზრეებთან ერთად შეგენარჩუნებინათ და ფეხზე დაგეყენებინათ საქართველოს მწერალთა კავშირი. დღესაც თვალმოუხუჭავად ებრძვით ხელისუფლებაში მოკალათებულ გულქვა ჩინოვნიკებს, რათა მწერლებს კუთვნილი სასახლე დაუბრუნოთ.

ობიექტურობის და პრინციპულობის მაგალითი ხართ და არა მარტო მწერლებისთვის. არც ერთი ხელისუფლების მეხოტბე არ ყოფილხართ. მუდამ ზომიერი ოპოზიციონერი ბრძანდებით, მაგრამ საქართველოს გამყიდველთა მიმართ შეურიგებლობით გამოირჩევით.

ამავე დროს საოცრად მლმობელი და მიმტევებელი ხართ გზასაცდენილთა და ლიტერატურულ „ძე შეცთომილთა" მიმართ, რომ იტყვიან, წყენა კარებამდე არ მიგყვებათ. მეაუგეებს აუგითვე არ პასუხობთ. კარგად იცით, რომ სკეპტიკოსთა ყველაზე კარგი პასუხი პროფესიონალიზმი და კარგი ნაწარმოების შექმნაა.

სწორედ თქვენმა მაღალნიჭიერებამ განაპირობა, რომ თქვენი პროზის საუკეთესო ნიმუშები თარგმნილია მსოფლიოს ხალხთა ენებზე, მათ შორის, ინგლისურად, ფრანგულად, გერმანულად, იაპონურად, ესპანურად, რუსულად, უკრაინულად, ბულგარულად, ვიეტნამურად, სომხურად, აზერბაიჯანულად, ივრითზე...

თქვენი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების კრებულები „კრიტიკა", „კრიტიკული მონოლოგები", „შენ ჩემთვის რა გატირებდა?", „სიტყვა და საქმე", „მწერალი და ავი საუკუნე" თანამედროვე კრიტიკული აზროვნების მიღწევათა რიგს განეკუთვნება.

ქართული თეატრების სცენაზე წარმატებით იდგმებოდა თქვენი პიესები „სპექტაკლი ფეხით მოსიარულეთათვის", „უფანდუროდ ნამღერი", „ასი წლის კაცის აღსარება". ცალკე აღნიშვნის ღირსია ის ღვაწლი, რომელიც ქართული პანტომიმის წინსვლას დასდეთ. ამ თეატრში დადგმულმა თქვენმა პიესებმა („ტერენტი გრანელი", „წმინდა გიორგი", „ქრისტე") მნიშვნელოვანწილად განაპირობა და განსაზღვრა პანტომიმის თეატრის სახე.

კინოსტუდია „ქართულ ფილმში" თქვენი კინოსცენარების მიხედვით გადაიღეს მხატვრული ფილმები „ასეც ხდება" და „მსაჯი".

საყურადღებოა თქვენი პუბლიცისტური წერილების კრებულები „რომ უკეთესნი ვიყოთ", „რა გადაარჩენს საქართველოს", „კულტურა. პოლიტიკა"...

ცალკე აღნიშვნის ღირსია თქვენი მრავალწლიანი სამეცნიერო მოღვაწეობა. 1966 წელს მონოგრაფიისათვის „1905-1907 წლების სატირული ჟურნალები" ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის წოდება მოგენიჭათ, ხოლო ფუნდამენტური გამოკვლევისათვის „თანამედროვე ქართული პოემა" – დოქტორისა (1973წ.). თქვენი მონოგრაფიები „სატირული ჟურნალისტიკა", „უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია", „თანამედროვე მწერლობის აქტუალური პრობლემები", „ქართული ფენომენი", „კულტურა და თანამედროვეობა", „კულტუროლოგია", „მხატვრული ნაწარმოების შეფასების პრინციპები" თანამედროვე ქართული სამეცნიერო აზროვნების დონეს პასუხობს. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდით თსუ უახლესი ქართული ლიტერატურის კათედრას, იყავით არაერთი სამეცნიერო საბჭოს წევრი. თქვენი ხელმძღვანელობით არაერთი საკანდიდატო თუ სადოქტორო დისერტაცია იქნა დაცული.

დიდ და ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევით.

არჩეული იყავით საქართველოს პარლამენტის წევრად, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილედ, ქართული ფენომენის აკადემიის პრეზიდენტად, ეროვნული ცნობიერების გადარჩენის საზოგადოების პრეზიდენტად, საზოგადოება „თვისტომის" პრეზიდენტად, ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის პალატის თავმჯდომარედ, იყავით ჟურნალების „პირველი სხივის", „კრიტიკის", „ნუგეშის" მთავარი რედაქტორი. დამაარსებელი და სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე ხართ „მწერლის გაზეთისა". ერთი წელია, რაც საქართველოს მწერალთა კავშირს უდგახართ სათავეში და ცდილობთ, უსასოო ყოფა შეუმსუბუქოთ უკიდურეს გასაჭირში ჩავარდნილ ქართველ მწერლებს...

მთავარი ის არის, რომ მწერლობისადმი მავანთა გაგულგრილებისა და საინფორმაციო საშუალებების მხრიდან სიტყვის ოსტატთა დანაშაულებრივი იგნორირების ვითარებაში თქვენ ის მწერალი ბრძანდებით, რომელიც სიტყვითა და საქმით ამტკიცებს, რომ სწორედ ჭეშმარიტი მწერალია ერის გონიერი მრჩეველი და მებაირახტრე, რომ საზოგადოებამ წაჯექ-უკუჯექა პოლიტიკანს კი არა, მწერალს უნდა დაუგდოს ყური.

თქვენი გარჯა, ღვაწლი და რუდუნება სათანადოდ დაფასდა. მონიჭებული გაქვთ შოთა რუსთაველის, საქართველოს სახელმწიფო, ნიკო ლორთქიფანიძის, აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის, დავით კლდიაშვილის, მემედ აბაშიძის სახელობის, საქართველოს თეატრალური საზოგადოების, გამომცემლობა „მესხეთის", ჟურნალ „დროშის" (ისრაელი) პრემიები. დაჯილდოებული ხართ ღირსების ორდენით, ივანე ჯავახიშვილის, ავეტიკ ისააკიანის, ბორის გაპონოვის მედლებით, „ქართული კულტურის ამაგდარის" მედლით... არჩეული ხართ გორისის (სომხეთი) უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად. მონიჭებული გაქვთ სახალხო მწერლისა და ქართული პროზის რაინდის საპატიო წოდება. არჩეული ხართ საჩხერის, იყალთოს, ქუთაისის საპატიო მოქალაქედ.

არაერთხელ გვითქვამს და ახლაც გავიმეორებთ, რომ უყოყმანოდ დათმობდით ყველა ამ რეგალიას, ოღონდ თქვენი ვაჟიშვილი, საქართველოს შეწირული გმირი ვაჟკაცი არჩილი ახლა თქვენს გვერდით ყოფილიყო...

ბატონო რევაზ!

ბოლო წლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა თქვენი ნაწერების ოცდახუთტომეულის გამოცემა, რომელმაც თქვენი მრავალწლიანი შემოქმედება დაიტია.

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჭეშმარიტ შემოქმედს, რომელსაც ჩვენს სინამდვილეში ანალოგი არ მოეძებნება. გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს.

**საქართველოს მწერალთა კავშირი**

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში

# განიხილეს გაწეული მუშაობის შედეგები

**მ. წ. 27 თებერვალს, საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა აკადემიის საერთო კრება, რომელმაც განიხილა აკადემიის მიერ 2014 წელს ჩატარებული მუშაობის შედეგები და მიმდინარე წლის პერსპექტივები, მოისმინეს აგრეთვე აკადემიის განყოფილებების მიერ ჩატარებული მუშაობის ანგარიშები.**

საერთო კრების მუშაობაში აკადემიის წევრების გარდა, მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის თავმჯდომარე – ზურაბ ტყემალაძე, პარლამენტის აგრარული პოლიტიკის თავმჯდომარე – გიგლა აგულაშვილი, ფრაქცია „ქართული ოცნება – მრეწველების" თავმჯდომარე – გოგი თოფაძე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მინისტრის მოადგილე – თამაზ მარსაგიშვილი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე – იური ნოზაძე, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი – ლევან ურჯუმელაძე, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე – თინათინ ბოჭორიშვილი, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე – იოსებ აბულაძე, სოფლის მეურნეობის მინისტრის თანაშემწეები: თამაზ კუნჭულია, ომარ კაჭარავა, შოთა კიკალიშვილი, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი – როლანდ კოპალიანი, აგრეთვე მოწვეული სტუმრები: ბაკურ გულუა, ლევან კლიმიაშვილი, გიორგი სალუქვაძე, ვალერი ხუციშვილი და სხვები.

საერთო კრებას ესწრებოდნენ აკადემიის კოორდინატორები, აკადემიის სამეცნიერო საბჭოს წევრები და სხვები.

მოისმინეს აკადემიის პრეზიდენტის აკად. გურამ ალექსიძის ძირითადი მოხსენება, რომელშიც დეტალურად იყო გაშუქებული სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ 2014 წელს ჩატარებული სამუშაოები, მათ შორის აკადემიის მიერ რუსთაველის ფონდის ხელშეწყობით ჩატარებული საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელიც მიეძღვნა კლიმატის ცვლილებებს. აღინიშნა აკადემიის წევრების მონაწილეობა, მათ მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო პროდუქცია, მათ შორის, მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, პუბლიკაციები, მეთოდური და სხვა ხასიათის ლიტერატურა.

აკადემიის საერთო კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ ზ. ტყემალაძე, გ. აგულაშვილი, გ. თოფაძე, თ. მარსაგიშვილი, ი. ნოზაძე და სხვები.

აკადემიის საერთო კრებამ დადებითად შეაფასა გაწეული მუშაობა და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებები.

საუკეთესო მეცნიერის დიპლომები გადაეცათ: გ. ალექსიძეს, ჯ. კაციტაძეს, პ. კოღუაშვილს და ნ. ბეგიაშვილს.

**სალომე კიკნაველიძე,**
**აკადემიის პრესცენტრი**

◉ სავალუტო ორომტრიალი

# ლარის დევალვაციამ საბოტაჟის სუნი დააყენა



## გიორგი ქადაგიძეს იმპიჩმენტი ემუქრება?

**ეჰ, რას არ მოესწრება კაცი. ადრე ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, ჩვენს მიერ დაწუნებულ იმ კომუნისტურ ხანაში თავისუფლებისა და დემოკრატიის დეფიციტი გვიმღვრევდა ცხოვრებას, თორემ სხვა მხრივ მოსვენებული ვიყავით, მთელი ცხოვრება შეიძლება ისე გაგეტარებინა, რომ ამერიკული დოლარი ერთხელაც არ დაგსიზმრებოდა. არადა ამ დროს ხვლიკისფერი ვალუტა თურმე მთელ პლანეტას აზანზარებდა: დოლარის კურსი ავარდა! დოლარის კურსი ჩამოვარდა! იყო ერთი გულხეთქება და ციებ-ცხელება.**

თურმე სადა ხარ! ერთ მშვენიერ დღეს „ხვლიკი" ჩვენი დამოუკიდებელი ქვეყნის ლარიბულ ბაზარზეც შემოვარდა და ჩვენი მთვლემარე სახელმწიფო მოხელენი, ბანკირები და ჯერაც უწვერული ბიზნესმენები სულ კიწნისკვრით წამოყარა, მერე ახლად ფეხადგმულ ეროვნულ ვალუტას დაეტაკა და როცა წინააღმდეგობას წააწყდა, რამდენჯერმე კიდევაც შემოელახა.

გაგონილა ასეთი უსინდისობა, აბორიგენ ვალუტას უცხო შემოგივარდეს და საკუთარ ქვეყანაში აღარ გედგომებოდეს? აბა რა წესია, იმის შიშით, რომ ბაზარზე ლარის ჭარბი მასა არ დაგროვდეს და ეროვნული ვალუტა არ გაუფასურდეს, ხელისუფლებას ღატაკი ხალხისთვის სოცდახმარება, პენსიები ვერ გაუზრდია და იძულებულია, მხოლოდ საკუთარი ხელფასებისა და პრემია-დანამატების ზრდას დასჯერდეს(!).

ბევრს შეიძლება ამ ხუმრობანარევ სიმართლეზე კიდევაც გაეღიმოს, მაგრამ სახუმაროდ და სამასხარაოდ ნამდვილად არ გვაქვს საქმე, მით უფრო ბოლო პერიოდში, როცა ეროვნული ვალუტის დევალვაციამ რეკორდულ ნიშნულს (30-პროცენტიან ვარდნას) მიაღწია. ლარის კურსის შოკურმა ვარდნამ ბაზრის ცალკეულ სეგმენტებში ფასების საგრძნობი ზრდა გამოიწვია. გარკვეული ჯგუფის წამლებზე ფასებმა მყისიერად 15-20 პროცენტით აიწია ფარმაცევტულ ქსელში, რომ აღარაფერი ვთქვათ აგრარულ ბაზარსა და მაღაზია-სუპერმარკეტებზე, რამაც (ფასმატებამ) მძიმედ დაარტყა ისედაც უსახსრო და მსყიდველუუნარო მოსახლეობას.

არადა თავის დროზე, ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბერ-დეკემბერში, როცა ლარის კურსმა საგრძნობი რყევა დაიწყო, მთავრობას რომ თვალები მოეფშვნიტა და რეალობისთვის რეალურად შეეხედა, ქვეყანა და ხალხი ამ გასაჭირში არ ჩავარდებოდა. არაო, გვაიმედა მაშინ ქვეყნის პირველი ფინანსისტი ნოდარ ხადური: **„ორი-სამი ლარით კურსის ვარდნა არის სეზონური და ამაში საგანგაშო არაფერიაო. ფასების მკვეთრი ზრდა გამორიცხულია და საახალწლოდ არც საკვებ პროდუქტებზე და არც სხვა პროდუქტზე ფასების ზრდას არ ველოდებითო".**

დამაიმედებელი იყო ეროვნული ბანკის პრეზიდენტის გიორგი ქადაგიძის პოზიციაც, რომელიც აცხადებდა, რომ **„ლარის კურსთან დაკავშირებით განსაკუთრებული არაფერი ხდება. ეს არის ჩვეულებრივი მოკლევადიანი რხევები, რომელიც ლარის კურსს ყოველთვის ახასიათებდა. ამ ეტაპზე ეს დაკავშირებულია წმინდა წყლის სეზონურ ფაქტორებთან. რაც შეეხება მოკლე, საშუალო და გრძელვადიან ფინანსურ სტაბილურობას მისი გარანტი ეროვნული ბანკია. ჩვენ ამისთვის გაგვაჩნია საფონდო ფინანსური და ადამიანური რესურსი და ეს წარსულში არაერთხელ დაგვიმტკიცებია".**

ხელისუფლების ჩინოვნიკთა და ბანკირთა გულარხეინობას ერთგვარი საფანელი მოაყარა პრემიერყოფილი ივანიშვილის მაშინდელმა პოზიციამ, რომელმაც განაცხადა, რომ ქვეყანაში საგანგებო არაფერი ხდება, **„ლარი ჯანსაღად იქცევა და ჩვენს ეკონომიკურ სტაბილურობას არავითარი საშიშროება არ ემუქრება".** თუმცა, გამოხდა ხანი და მას შემდეგ, რაც ლარის ჯანსაღი საქციელი „დაუკრეფავში" გადაიზარდა, პრემიერყოფილმა პოზიცია მკვეთრად შეიცვალა და სავალუტო კრიზისით გამოწვეული მძიმე მდგომარეობა თავის დროზე ნაცხელმძღვანელობის მიერ ეროვნული ბანკის პრეზიდენტად დანიშნული გიორგი ქადაგიძის უმოქმედობით, უფრო სწორად, სავალუტო ხანძრის ჩასაქრობად მის მიერ დანაშაულებრივად დაგვიანებული რეაქციით ახსნა. **ბატონი ბიძინას აზრით, ქადაგიძეს რომ სავალუტო რეზერვები საჭირო დროსა და საჭირო ოდენობით გამოეყენებინა, ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებაში 2-ლარიან ზღურბლს არ გადაახტებოდა და ქვეყანა და ხალხი ხელოვნუარდ წარმოქმნილ ცრუ განგაშსა და ფინანსურ სიძნელეებს ასცდებოდა.** გაჩნდა ეჭვი — ხომ არ იყო ეს საბოტაჟი? საქართველოს ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი ამას არც მალავს და ღიად აცხადებს: **„საბოტაჟის ნიშნებს ვხედავ... 90-იან წლებში ზუსტად იმავეს აკეთებდა ეროვნული ბანკი, „უპრაგონოდ", გაუზომავად იძლეოდა სესხებს".**

ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების მიმართ სხვა ეჭვებიც გაჩნდა: ექსპერტთა ერთი ნაწილი სავალუტო ბაზარზე ბანკებს შორის სპეკულაციურ გარიგებებზე ალაპარაკდა. ამის დასტურად მიაჩნია, რომ ლარის კურსის ვარდნის შემდეგ ქართული ბანკების მოგება ათეულ მილიონობით გაიზარდა. ამაში ეკონომიკის ექსპერტი დემურ გიორხელიძე **ბრალს სდებს მთავრობას, რომელიც, მისი აზრით, კომერციულ ბანკებს საშუალებას აძლევს, ჰაერით აკეთონ ფული".**

პარლამენტარი დავით ლორთქიფანიძე არ გამორიცხავს, რომ უახლოეს მომავალში დეპუტატებმა გიორგი ქადაგიძის იმპიჩმენტი მოითხოვონ. „პარლამენტი, როგორც ის ამბობს, **ყოველწლიურად განიხილავს ეროვნული ბანკის ანგარიშს და თუ მისი მუშაობა შეფასდება უარყოფითად, ამ შემთხვევაში შეიძლება პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი დადგეს დღის წესრიგში. უკვე ღიად განვაცხადე, რომ გიორგი ქადაგიძის იმპიჩმენტს მხარს ვუჭერ".**

ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ კრიტიკა ბანკზე თავდასხმად ჩათვალა და ხელისუფლება უმოქმედობაში იქით დაადანაშაულა. **აზრი იმის შესახებ, რომ ჩვენ გვიან დავიწყეთ სავალუტო ინტერვენცია, განაცხადა მან, არ არის მართალი, ჩვენს ჩარევას სავალუტო კურსის ცვლილებებში აქვს ძალიან მნიშვნელოვანი კონკრეტული ფასი, გამოხატული ეკონომიკურ ზრდაში, საპროცენტო განაკვეთების გაზრდაში, გაყიდვების შემცირებასა და ასე შემდეგ. ამიტომ ჩვენ არ გაქვს უფლება, ვიმოქმედოთ ისე, რომ ერთი მიმართულებით სიტუაცია დავასტაბილუროთ, ხოლო მეორე მიმართულებით უარესი შედეგი მივიღოთ,** — დასძინა გიორგი ქადაგიძემ. ამის საილუსტრაციოდ მოიყვანა მოლდოვასა და აზერბაიჯანის მაგალითები, სადაც ეროვნული ვალუტის კურსის გასამყარებლად მილიარდები გადაყარეს, მაგრამ შედეგი ვერ მიიღეს, მათი ვალუტები ლარზე უარესად გაუფასურდა. მისი აზრით, ახლა დამნაშავის ძიებისა და ურთიერთგადაბრალების დრო არ არის, უმჯობესია, მთავრობამ ეკონომიკას მიხედოს და ლარსაც აღარ გაუჭირდება.

რა თქმა უნდა, როცა ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ლარის გასაჯანსაღებლად ასეთ „ოფლის ღვრაშია", მთავრობაც არ ზის გულხელდაკრეფილი. მინისტრთა კაბინეტმა უკვე შეიმუშავა კონკრეტული გეგმა, რომელიც ბიზნესისთვის ფრიად ხელსაყრელი პირობების შექმნას, ინვესტიციების მაქსიმალურად გაზრდას, მნიშვნელოვანი სახელმწიფო ობიექტების პრივატიზებას, ექსპერტისა და ტურისტული ნაკადების ზრდას, უამრავი სხვა შემოსავლის წყაროს მოძიებას ისახავს მიზნად, რაც მთავარია, სახელმწიფო სახსრების უყაირათოდ ხარჯვას დაედება ბოქლომი. **პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა თავად მინისტრთა კაბინეტის წევრებსაც მოუწოდა, ანგარიში გაუწიონ ქვეყანაში შექმნილ მძიმე ვითარებას, ქამრები შემოიჭირონ და ამით შეუმსუბუქონ ცხოვრება ქვეყნის გაჭირვებულ მოსახლეობას.** მართალია ქამრების მოთხოვნის ზრდასთან დაკავშირებით, მისმა ფასმა ბაზარზე საგრძნობლად აიწია, მაგრამ არა გვგონია ამხელა პრემიებისა და წანამატების მქონე მინისტრებს მისი შეძენა გაუჭირდეთ. ერთადერთი ხადურს შეიძლება მისი წელის სარგო ქამრის შოვნა გაუძნელდეს, მაგრამ არაფერია, მთავარია, გული გულობდეს, თორემ გამონაკლის შემთხვევაში ქამრის კისერზე შემოჭერაც (ლაბაბის დატანებით) მიღწევად ჩაითვლება.

მე თუ მკითხავთ უფრო მწვავე პრობლემა ნაცნარჩენების ქიშპობა-მოუთვინიერებლობაში იმალება, რომლებსაც ოფიციალურად არც ქამრების შემოჭერა ევალებათ და არც დაქცეული ეკონომიკის ამოწევა, მაგრამ თავიანთ ბინძურ ცხვირს მაინც ყველაფერში ყოფენ. ამიტომაც გადაწყვიტეს პარლამენტის რიგგარეშე სესიის მოწვევა და იქ თავიანთი ჩვეული სცენარის მიხედვით, უნიათო და უტვინო მთავრობისთვის (მათი საყვარელი ეპითეტია) სავალუტო შოუს მოწყობა, მაგრამ ამჯერად საცირკო ნომერი ჩაუვარდათ.

**ამასობაში ისევ თავად ლარმა ინამუსა, მთავრობისა და ოპოზიციის გამუდმებული კინკლაობით შეწუხებულმა მომენტი იპოვა და ბოლო დღეებში ამერიკულ დოლართან მიმართებაში მთელი 12 პროცენტით გამყარდა...**

**ოთარ ხუციშვილი**

◉ ალიან-ჩალიანი

## ქვეყანაში არის ხორბლის საკმარისი მარაგი, რათა პურზე ფასმა არ მოიმატოს

**ამის შესახებ სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ ნოდარ კერესელიძემ განაცხადა.**

**რაც შეეხება კომპანია „იფქლის" მიერ პურის ორ სახეობაზე ფასის 10 თეთრით მომატებას, ნოდარ კერესელიძე მიიჩნევს, რომ ეს არის ერთი კონკრეტული კომპანიის მიერ თვითნებურად გაზრდილი ფასი მის მიერ წარმოებულ პროდუქციაზე.**

**მინისტრის მოადგილის თქმით, ლარის კურსის დევალვაცია მოქმედებს ზოგადად ეკონომიკასა და წარმოებაზე, ამიტომ სოფლის მეურნეობის სამინისტრო თავის კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს მუდმივ რეჟიმში მონიტორინგს და კონტროლს ხორბლის მარაგებზე.**

**„ასევე ჩვენ ვცდილობთ, იმპორტის დივერსიფიცირების კუთხით გავააქტიუროთ მუშაობა, რათა მაქსიმალურად ვეცადოთ, სხვა ქვეყნებიდანაც განვახორციელოთ ხორბლის იმპორტი და დავასტაბილუროთ ფასი. ფასი გაიზარდა იქიდან გამომდინარე, რომ რუსეთმა ხორბალზე საექსპორტო გადასახადი დააწესა, რამაც გავლენა იქონია ფასზე. ამიტომ, ეს მონიტორინგი და იმპორტის დივერსიფიცირება არის ის საკითხები, რაზეც ჩვენ ვმუშაობთ, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში არ მოხდეს რაიმე ცვლილებები პურის ფასზე", — განაცხადა კერესელიძემ.**

## ღვინის ექსპორტი თებერვალში შედარებით გამოსწორდა

**სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილის ნოდარ კერესელიძის განცხადებით, ღვინის ექსპორტთან დაკავშირებით თებერვალში მდგომარეობა შედარებით გამოსწორებულია.**

**როგორც ნოდარ კერესელიძემ აღნიშნა, წლის დასაწყისი ყოველთვის ხასიათდება კლებით ღვინის ექსპორტთან მიმართებაში და არც ეს წელი ყოფილა გამონაკლისი.**

**„მით უმეტეს, დაემთხვა კრიზისი ჩვენს პარტნიორ საექსპორტო ქვეყნებში - რუსეთშიც და უკრაინაშიც. იანვარში იყო კლება. თებერვალში მდგომარეობა შედარებით გამოსწორებულია, თუმცა, ეს წინასწარი მონაცემებია, რომელიც უახლოეს დღეებში დაჯამდება და საზოგადოებისთვის ცნობილი გახდება", — განაცხადა კერესელიძემ.**

## საკვები პროდუქტები გაძვირდა

**როგორც სავაჭრო მარკეტებში განაცხადეს, ფასი თითქმის ყველა სახის პროდუქტზე გაიზარდა.**

**მათი ინფორმაციით, ზეთზე ფასმა ბოლო ერთი თვის განმავლობაში საშუალოდ 50 თეთრით მოიმატა. 25 თეთრზე მეტით არის გაძვირებული შაქარი და წიწიბურა. ასევე გაზრდილია ტკბილეულის, ყავის, მარილის, ჰიგიენური და სარეცხი საშუალებების ფასი.**

**გარდა ამისა, 1 მარტიდან გაძვირდა ალკოჰოლური სასმელებიც, რასაც აქციზის გადასახადის ზრდას უკავშირებენ. სულ მცირე 20 %-ით არის გაზრდილი არყისა და ლუდის ფასი, გარდა „ნატახტარისა". 10-დან 25 თეთრამდეა გაძვირებული „კოკა-კოლას" ყველა სახის პროდუქცია. მაგალითად, 0.5-ლიტრიანი „კოკა-კოლა", „ფანტა" და „სპრაიტი" მარკეტებში, 1.10 ლარის ნაცვლად, ბოლო სამი დღეა, 1.20 ლარად იყიდება.**

**როგორც მოვაჭრეები აცხადებენ, ფასების ზრდა ძირითადად მას შემდეგ დაიწყო, რაც ლარმა გაუფასურება დაიწყო.**

**ინტერპრესი**



# სახელმწიფო უწყებებში კვლავ დაუსჯელობის სინდრომი სუფევს?

**რას ნიშნავს იყო კანონმორჩილი მოქალაქე და რა მოყვება იმას, როცა სახელმწიფო სხვადასხვა უწყებების მაღალი რანგის მოხელეები ერთმანეთთან შეთანხმებით ბოროტად იყენებენ თავიანთ სამსახურებრივ მდგომარეობას, რასაც ქვეყნისთვის სავალალო შედეგი მოყვება?**

სწორედ ამის გარკვევას უკავშირდება ჩვენი მორიგი ჟურნალისტური გამოძიება, რომლის ფიგურანტები არიან იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თანამშრომლები, „ფოთის და ყულევის პოსტები და ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის" ხელმძღვანელები და კერძო იურიდიული პირი შპს „მეტალექს ტრანსი" (სავარაუდო დანაშაულის ჩადენის დროს კორპორაცია „ფოთის საზღვაო ნავსადგურის" მე-5 ნავმისადგომის მოიჯარე).

მოვლენები იმით დაიწყო, რომ 2014 წლის 1 ოქტომბერს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს მაშინდელ უფროსს იოსებ (სოსო) ბაღათურიას წერილობითი მოთხოვნით მიმართა სომხეთის ახტალის სამთო-გამადიდრებელი კომბინატის კრედიტორის — მოსარჩელეს რწმუნებულმა (ჩვენს მიერ მოპოვებული დოკუმენტებით, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, მათი ვინაობა „დაშტრიხულია"), რომელიც ვერ იქნებოდა „კრედიტორის — მოსარჩელეს" რწმუნებული და ეს იმიტომ, რომ იმ დროისათვის რწმუნების გამცემი პირი (საქართველოს მოქალაქე) უკვე გარდაცვლილი იყო. „რწმუნებული" თავის წერილობით მიმართვაში ითხოვდა ფოთის ნავსადგურის მე-5 ნავმისადგომზე იმ დროისათვის განთავსებული სომხეთის ახტალის სამთო-გამადიდრებელი კომბინატის კუთვნილი 2,7 ათასი ტონა სპილენძის კონცენტრატის დაუყოვნებლივ დაყადაღებას.

მიუხედავად ამისა, იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელმა და მისმა ხელქვეითებმა საჭიროდ არ ჩათვალეს გადაემოწმებინათ ხსენებული „რწმუნების" მოქმედების კანონიერება, რის შემდეგ გაცემული დავალიანების შემსრულებელი რ. ხაჩიძე იმავე დღეს ჩავიდა ფოთში და ეწვია „ფოთის და ყულევის პოსტებს და ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონას", შემდეგ მის ხელმძღვანელობას წერილობით აცნობა ყადაღის დადების შესახებ, რის აღსრულება მოხდა მეორე დღეს.

მაგრამ ჩვენს მიერ მოპოვებული დოკუმენტების საფუძველზე გაირკვა, რომ ხსენებული საქონელი იმ დროისათვის უკვე აღარ იყო სომხეთის მხარის საკუთრება. ეს იმიტომ, რომ ამ ტვირთის სრულუფლებიანი მესაკუთრე უცხოური კომპანია შპს „Trafigra PTE" იყო, რადგან ამ უკანასკნელმა აღნიშნული საქონელი შეისყიდა ხსენებული კომბინატისაგან. ეს ფაქტი დასტურდება გადაზიდვის საერთაშორისო დოკუმენტით ე. წ. „GMR"-ით, სადაც აღნიშნულია, რომ საქონლის გადაზიდვა ხორციელდება საერთაშორისოდ აღიარებული „FSA" ფორმით, რაც იმას ნიშნავს, რომ „Trafigra PTE"-სმა საქონლისა და მისი ფოთის ნავსადგურამდე გადაზიდვის სრული საფასური გადაუხადა ამ კომბინატს ხსენებული ტვირთის გადაზიდვამდე, რაც იმას მოწმობს, რომ ყადაღა კანონდარღვევითაა დადებული.

ის, რომ ხსენებული საქონელი წარმოადგენდა არა სომხეთის ახტალის სამთოგამამდიდრებელი კომბინატის, არამედ შპს „Trafigra PTE"-ს საკუთრებას, ყადაღის დადებამდეც ცნობილი იყო, როგორც „ფოთის ყულევის პორტები და ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის", ასევე შპს „მეტალექს ტრანსი"-ს ხელმძღვანელობისთვის. ეს იმიტომ, რომ შპს „Trafigra PTE"-ს მინდობილმა პირმა — საქონლის გადამზიდავმა შპს „სოფმარმა" ფოთის ნავსადგურის საბაჟო ზონაში სპილენძის კონცენტრატის შეტანისას „ფოთისა და ყულევის პოსტები და ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის" სავალდებულოდ გადასცა ხსენებული „GMR"-ი, რის შემდეგ ფოთის ნავსადგურის მე-5 ნავმისადგომზე განთავსებისათვის შპს „მეტალექს ტრანსთან" შენახვის ხელშეკრულების გაფორმებისას ხსენებული დოკუმენტი ასევე სავალდებულოდ გადასცა ამ შპს-ს.

აქვე აღვნიშნავთ, რასაც არ უარყოფენ „ფოთის და ყულევის პოსტები და ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის" და შპს „მეტალექს ტრანსის" ხელმძღვანელობა. შპს „Trafigra PTE"-ს სპილენძის კონცენტრატის გადამზიდავს შპს „სოფმარს" ფოთის ნავსადგურებში ეს ტვირთი შემოაქვთ უკვე ათი წელია და მე-5 ნავმისადგომაზე ტვირთი ინახება იმ დრომდე, ვიდრე ის არ ჩაიტვირთება გემზე მისი შემდგომი ტრანსპორტირებისათვის შავი ზღვით ევროპაში. სხვათა შორის, შპს „Trafigra PTE"-ს საკუთრებაში არსებული სპილენძის კონცენტრატი შპს „სოფარმას" ასევე შემოაქვს მადნეულის სამთო გამამდიდრებელი კომბინატიდანაც.

ე. ი. სახეზეა, რომ იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს ყადაღის დამდებმა უფლებამოსილმა პირმა არ ჩათვალა საჭიროდ მიეღო დოკუმენტური დასტური ტვრთის მესაკუთრის შესახებ არც „ფოთის და ყულევის პორტები და ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონისგან", არც შპს „მეტალექს ტრანსისგან. მათ თავი არც საიმისოდ „შეიწუხეს", რომ აღმსრულებლისათვის ეცნობებინათ ტვირთის კანონიერი მესაკუთრის ვინაობა. ხსენებულ საქონელს ყადაღა 2014 წლის 2 ოქტომბერს დაედო, რასაც ესწრებოდნენ „ფოთის და ყულევის პორტები და ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის" და შპს „მეტალექს ტრანსის" წარმომადგენლები.

„ფოთისა და ყულევის პოსტები და ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონისა" უფროსი გ. სხილაძე ყადაღის დადებას რომ არ შეეწინააღმდეგა, იმით ხსნის, რომ მას, როგორც საბაჟოს უფროსს, აღმსრულებლისთვის ხელის შეშლა არანაირად არ შეეძლო და სწორედ ამიტომ არ წარუდგინა შესაბამისი დოკუმენტები, რომელთა მეშვეობით დადასტურდებოდა, რომ ნავმისადგომზე სპილენძის კონცენტრატი არ წარმოადგენდა სომხეთის ახტალის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის საკუთრებას. ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი შ. კიკნაძე საბაჟოს პასუხისმგებელი თანამდებობის პირის ქმედებაში არანაირ დარღვევას და, მით უმეტეს, დანაშაულს ვერ ხედავს, რის შესახებ წერილობით გვაცნობა. იმავე სამინისტროს გენერალური ინსპექციის ხელმძღვანელი ვ. ბობოხიძე აცხადებს, რომ არსებობს კანონი და მისი შესაბამისი მუხლი, რომელიც ავალდებულებს საბაჟოს მუშაკს რამენაირად შეეწინააღმდეგოს ყადაღის დამდებ აღმსრულებელს. შპს „მეტალექს ტრანსმა" კი საჭიროდ ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით ჩვენს მიმართვაზე პასუხი გაეცა. იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა წერილობით გვაცნობა, რომ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მოხდა შეცდომა. თუმცა, არ გვიპასუხა იმაზე, რომ, როცა მისთვის გახდა ცნობილი, რომ რწმუნების დამადასტურებელი დოკუმენტი აღმოჩნდა ძალადაკარგული და რწმუნებულს არანაირი უფლება არ ჰქონდა წაეყენებინა მოთხოვნა აღსრულების ეროვნული ბიუროსთვის, ანუ თავისი მიზნების მისაღწევად მან ისარგებლა, ფაქტობრივად, ყალბი დოკუმენტით, აღსრულების ეროვნული ბიუროს უფროსმა რატომ არ აცნობა ამის შესახებ პროკურატურას. თუ რა მიზნები ამოძრავებდა ბიუროს უფროსს ასეთი „შეწყალებისთვის", დასადგენია საგამოძიებო ორგანოების მიერ.

ჩვენი მისამართით შპს „სოფმარის" მიერ გამოგზავნილი წერილით დგინდება, რომ ხსენებული ყადაღის უკანონო დადების შედეგად შპს „Trafigra PTE"-სმა 10 ათასი აშშ დოლარის, ხოლო შპს „სოფმარმა" კი 4 ათასი აშშ დოლარის ზარალი განიცადა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ყადაღა რამდენიმე დღეში მოიხსნა, მიყენებული ზარალი შეიძლებოდა გაცილებით უფრო დიდი ყოფილიყო.

მომხდარი ფაქტის შესახებ ჩვენს სააგენტოს აცნობა შპს „სოფმარის" დირექტორმა ვ. ალანიამ 2014 წლის 7 ოქტომბერს, რის შემდეგ სააგენტო შეუდგა ჟურნალისტურ გამოძიებას, რის შედეგად ყადაღა რამდენიმე დღეში მოიხსნა.

ჩვენმა სააგენტომ 2015 წლის 9 იანვარს გამოძიების შედეგების შესახებ წერილობით აცნობა საქართველოს პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს და მთავარ პროკურორს გიორგი ბადაშვილს. პრემიერ-მინისტრს მივმართეთ იმიტომ, რომ მისთვის, როგორც მთავრობის პირველი პირისთვის, ცნობილი ყოფილიყო, თუ რა უკანონობა ხდება იუსტიციის სამინისტროს ქვემდებარე უწყებაში, ხოლო მთავარ პროკურორს კი იმ მიზნით, ჩვენს მიერ გამოძიებულ დანაშაულზე კანონმდებლობით გათვალისწინებული რეაგირება მოხდეს, ანუ დაიწყოს გამოძიება.

პრემიერ-მინისტრის კანცელარიიდან მოკლე დროში მივიღეთ წერილობითი პასუხი, რომლითაც გვაუწყეს, რომ ჩვენი წერილი რეაგირებისათვის გადაგზავნილია მთავარ პროკურატურაში და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში. მთავარი პროკურატურიდან კი პასუხი დღემდე არ მიგვიღია.

ინტერნეტის მეშვეობით ჩვენთვის გახდა ცნობილი, რომ 2013 წელს საქართველოს პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს ჰქონდა შეხვედრა შპს „Trafigra EVRO-AZIA"-ს პრეზიდენტთან, რომლის შემადგენლობაში შედის შპს „Trafigra PTE". შპს „Trafigra EVRO-AZIA"-სთვის ამ შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა შუა აზიიდან შავ ზღვამდე მისი კუთვნილი ტვირთების გადაზიდვისათვის სანდო მარშრუტის მოძიება, რომელშიც მოიაზრებოდა საქართველო.

ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ არც შპს „Trafigra PTE"-სმა და არც შპს „სოფმარმა" მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, მიუხედავად მათვის ზარალის მიყენებისა, არ ჩათვალეს საჭიროდ სარჩელით მიემართათ საქართველოს სასამართლოსთვის. შპს „სოფმარის" დირექტორმა ვ. ალანიამ ეს იმით ახსნა, რომ მთავარია ყადაღის მოკლე დროში მოხსნა და მიყენებული ზარალი შპს „Trafigra PTE"-სთვის და შპს „სოფმარისთვის" არ წარმოადგენს მნიშვნელოვან თანხას.

მაგრამ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით სწორედ ეს თანხა წარმოადგენს უდიდეს ზარალს, რომლის დაფარვა უპირველეს ყოვლისა უნდა დაეკისროს ფინანსთა სამინისტროს და იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნულ ბიუროს.

გამორიცხული არ არის, რომ შპს „სოფმარის" მხრიდან, ფაქტობრივად, დანაშაულის და მიყენებული ზარალის დაფარვა გამოწვეულია იმით, რომ ამ შპს-ს დირექტორი ვ. ალანია ბოლო ათი წლის განმავლობაში ორჯერ იყო გასამართლებული და სწორედ ამიტომ პირადად მას, როგორც შპს „სოფმარის" ერთ-ერთ მესაკუთრეს და დირექტორს, ზემოაღნიშნულ ფაქტთან (უკანონო დაყადაღებასთან დაკავშირებით) ჩივილი არ სურს, რათა მთავარი იყო ყადაღის მოხსნა.

ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცის" წინამდებარე პუბლიკაცია, ერთი მხრივ, საზოგადოებას და ქვეყნის ხელისუფლებას უსვამს სამართლიან კითხვას — სახელმწიფო უწყებებში კვლავ სუფევს დაუსჯელობის სინდრომი?" და, მეორე მხრივ, ჩვენ იმედს არ ვკარგავთ, რომ ჩადენილ დანაშაულზე პასუხისმგებელი პირები, მიუხედავად მათი მფარველების რანგისა, დაისჯებიან.

**თენგიზ ჩხიკვაძე,**
**ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე"**

## ალიან-ჩალიანი

### „თბილისის მეწარმეობის ხელშეწყობის ცენტრი" 2 მილიონი ლარით დაფინანსდება

**თბილისის** მერიაში არასამეწარმეო, არაკომერციული, იურიდიული პირი „თბილისის მეწარმეობის ხელშეწყობის ცენტრი" დაფუძნდა.

როგორც ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის უფროსმა ირაკლი ბერეკაშვილმა განაცხადა, თბილისის საკრებულოს მიერ პროექტის მოწონების შემდეგ, მთავრობის სხდომაზე დამტკიცდა „თბილისის მეწარმეობის ხელშეწყობის ცენტრის" შექმნასთან დაკავშირებით განკარგულების პროექტი. ბერეკაშვილის შეფასებით, აღნიშნული ცენტრის შექმნით მნიშვნელოვანი სტრუქტურა შეიქმნა დედაქალაქში, რომელიც იზრუნებს მეწარმეობის განვითარებისათვის. კერძოდ, იზრუნებს ინვესტიციების მოსაზიდად მცირე მეწარმეებისათვის. მისივე განცხადებით, ცენტრი მერიის ბიუჯეტის გარდამავალი ნაშთიდან 2 მილიონი ლარით დაფინანსდება.

### 109 დევნილი ოჯახი ბინას მიიღებს

**ქუთაისში,** ოცხელის ქ. № 2-ში, ყოფილი კლინიკური საავადმყოფოს შენობაში, 109 დევნილი ოჯახი სულ მალე კრიტერიუმების შესაბამისად ბინას მიიღებს.

როგორც „ინტერპრესნიუსს" საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროდან აცნობეს, ქუთაისში, სამინისტროს იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ტერიტორიულ ორგანოში ბინები ფარული კენჭისყრით განაწილდა.

მათივე ინფორმაციით, ბინების განაწილების პროცედურას დევნილთა და განსახლების მინისტრის მოადგილეები შოთა რეხვიაშვილი და მამუკა ცოტნიაშვილი, სახალხო დამცველის აპარატის, აფხაზეთის მთავრობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ. ფარული კენჭისყრის შედეგად გამოვლინდა, კონკრეტულად რომელ ბინებში გადანაწილდებიან იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახები.

როგორც სამინისტროში აცხადებენ, კენჭისყრის პროცესი ღიად და გამჭვირვალედ, მშვიდ ვითარებაში წარიმართა. ბინების განაწილების დროს გათვალისწინებულ იქნა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებები, მათ ადაპტირებული ბინები პირველ სართულზე გადაეცათ. მათივე ინფორმაციით, შენობაში სულ 109 ბინაა, აქედან 44 — ერთოთახიანი, 53- ოროთახიანი, 12 - სამოთახიანი.

**ინტერპრესი**

◉ კლასიკური მუსიკის ზეიმი

# მადლობა თბილისის საოპერო თეატრს

**რა დასამალია და, კლასიკური მუსიკის (კერძოდ, აუცილებლად — ქართულისაც!) მოყვარულებს დღესდღეობით, ჩვენი სიმფონიური ორკესტრების, განსაკუთრებით, „სახელმწიფოს“ ყოვლად მიუტევებელი უმოქმედობის პირობებში, დარჩენილი აქვთ ესთეტიკური მოთხოვნილების დაკმაყოფილების ერთადერთი წყარო: ეს გახლავთ ჩვენი საოპერო თეატრის საკონცერტო (ჯერ-ჯერობით!) წარმოდგენები, რომელთა მოწმენი გავხდით 20 და 28 თებერვალს.** მოვისმინეთ პიეტრო მასკანის „სოფლის ღირსება“ (სხვათა შორის, უფრო ზუსტია „სოფლური ღირსება“ „Cavalleria rusticana!“) და ზაქარია ფალიაშვილის „დაისი“ — ორივე მარადიული ქმნილება!

მათი დირიჟორები იყვნენ შესანიშნავი მუსიკოსები ზაზა აზმაიფარაშვილი და რევაზ ტაკიძე, იმ განსხვავებით, რომ მასკანის ოპერა წარმოგვიდგინეს თეატრის წამყვანმა არტისტულმა ძალებმა, ხოლო ფალიაშვილისა — ნიჭიერმა ახალგაზრდა მომღერლებმა (ჩვენმა საიმედო რეზერვმა).

როგორც ცნობილია, მასკანის „სოფლის ღირსება“ (ჯერჯერობით, ისევ ასე ვწეროთ), რომელიც პირველად აჟღერდა 1890 წელს და დღესაც არ ჩამოდის (და არც არასოდეს ჩამოვა) სცენიდან, წარმოადგენს ე.წ. „საოპერო ვერიზმის“ პირველ ნიმუშს (ამ მიმართულებას აგრეთვე მიეკუთვნებიან ჯ.პუჩინი, რ.ლეონკავალო, უ.ჯორდანო, ფ.ჩილეა და სხვები). იგი ერთაქტიანია და მუსიკალური მოქმედების მაქსიმალური კონცენტრაციით გამოირჩევა, რაც უზრუნველყოფილ იქნა ზ.აზმაიფარაშვილის სადირიჟორო ხელოვნებით.

ამ საღამოს მთავარ როლებს ასრულებდნენ შესანიშნავი მომღერლები ირაკლი კახიძე (ტურიდუ), ელენა პუტილოვა (სანტუცა), სულხან გველესიანი (ალფიო), ირინა ალექსიძე (ლოლა), ელენე ჯანჯალია (ლუჩია).

ირაკლი კახიძეს (ლირიკულ-დრამატული ტენორი) უკვე რა ხანია მოპოვებული აქვს საერთაშორისო აღიარება, იგი წარმატებით გამოდის არა მარტო ბათუმსა და თბილისში, არამედ — უცხოურ საოპერო სცენებზე და ამჯერადაც, მან, კიდევ ერთხელ მოგვანიჭა ესთეტიკური სიამოვნება, მშვენივრად იმღერა გამოსასვლელი და გამოთხოვების არიები, დუეტები.

ღირსეული პარტნიორობა გაუწიეს მას ე.პუტილოვამ (სოპრანო), ს.გველესიანმა (ბარიტონი), ი.ალექსიძემ (სოპრანო) და ე.ჯანჯალიამ (მეცო სოპრანო).

საზღვარი არ ჰქონდა მასკანის ოპერისა და, ზოგადად, კლასიკური მუსიკის მოყვარულთა აღტაცებას.

კვლავ და კვლავ დიდი სიხარული მოგვანიჭა უდიდესი ქართველი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის უკვდავმა, მარადუჭკნობმა „დაისმა“, რომელიც მოვისმინეთ რევაზ ტაკიძის დირიჟორობით და ახალგაზრდა მომღერლების (გუშინდელი სტუდენტების!) შესრულებით.

ათეული წლების მანძილზე ოპერას შესანიშნავად უძღვებოდა დაუვიწყარი პიროვნება და მუსიკოსი დიდიმ მირცხულავა (1912-1997). შემოქმედებითი ესტაფეტა მან გადასცა თავის ღირსეულ უმცროს მეგობარს რევაზ ტაკიძეს, რომელიც, აი, უკვე თითქმის 20 წელია წარმატებით დირიჟორობს „დაისს“ (თანაც, ზეპირად!). ასე იყო ამ საღამოსაც.

ამ შემთხვევაში კი, დამატებით უნდა აღინიშნოს ახალგაზრდა მომღერლებთან რ.ტაკიძის ნაყოფიერი მუშაობა ზ.ფალიაშვილის ოპერის დიდებული და თანაც ძალზე რთული ვოკალური პარტიების მომზადების პროცესში.

დავასახელოთ ეს ახალგაზრდები და მათ მიერ შესრულებული პარტიები:

მარო: — მარიამ ტურაშვილი (სტაჟიორი), ნანო — ნანა ძიძიგური (სტაჟიორი), მალხაზი — ოთარ ჯორჯიკია, კიაზო — ალუდა თოდუა (სტაჟიორი), ცანგალა — გოდერძი ჯანელიძე (სტაჟიორი), ტიტო — თამაზ საგინაძე.

მაშ ასე: ექვსიდან — ოთხი „სტაჟიორი“ (ე.ი. გამოსაცდელი, ცხადია, უხელფასო მომღერალი!), რომლებიც თავისი მშვენიერი ვოკალური მონაცემებით და შესრულების პროფესიული კულტურით არ ჩამოუვარდებიან ნებისმიერ აღიარებულ „პრემიერებს“. დარწმუნებული ვარ, რომ მალე ისინი საერთაშორისო ასპარეზზეც გამოიჩენენ თავს.

გუშინდელი სტუდენტი ოთარ ჯორჯიკია თავისი ხმისა (ლირიკული ტენორი) და ოსტატობის წყალობით უკვე აღიარებულია ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც (სეზონის დახურვამდე იგი მთავარ პარტიას იმღერებს მოსკოვის დიდი თეატრის სპექტაკლში!). მალხაზის პარტია მან პირველად შეასრულა და წარმატებით დაძლია მისი ვოკალური სიძნელეები.

ახალგაზრდებს მშვენიერი პარტნიორობა გაუწია მათზე რამდენიმე წლით უფროსმა, უკვე კარგა ხანია ჩვენი თეატრის სოლისტმა თ.საგინაძემ.

შესანიშნავად, ძალზე მწყობრად ჟღერდა ორკესტრი, რაც დირიჟორის კიდევ ერთი დამსახურებაა. ქებათა ქება რევაზ ტაკიძესა და მის პროფესიულ ოსტატობას!

დავძენ, რომ ორივე ოპერის შესრულებისას, როგორც მუდამ, მოწოდების სიმაღლეზე იყო თეატრის გუნდი (ქორმაისტერები — ავთანდილ ჩხენკელი და შალვა შაორშაძე).

მადლობა ჩვენს შესანიშნავ საოპერო თეატრს მონიჭებული ესთეტიკური სიხარულისათვის.

ძალზე კმაყოფილი მსმენელების სახელით —

**გულბათ ტორაძე.**

**P. S. კარგა ხანია, გვპირდებიან, რომ საოპერო თეატრის „მწყობრში ჩადგომის“ ნანატრი დღე შემოდგომაზე დადგება. ღმერთმა ქნას!**

**მაგრამ ბოროტი ენები გვარწმუნებენ, რომ იმიერიდან მას დაერქმევა არა „ოპერის“, არამედ „ბალეტის“ თეატრი“!**

**ნუთუ, ეს, მართალია?! არ მინდა დავიჯერო!**

**გ. ტ.**

◉ ალიან-ჩალიანი

# გაიხსნა პრობაციის ბიუროს შენობა

**ყაზბეგის გამზირზე, №42-ში, თბილისის პრობაციის ბიუროს ახალი შენობა გაიხსნა. შენობა სასჯელაღსრულების მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა, მინისტრის მოადგილემ კახა კახიშვილმა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსმა გიორგი არსოშვილმა გახსნეს.**

**რეკონსტრუქციის შედეგად, პირობით მსჯავრდებულებისთვის მოეწყო თანამედროვე ტიპის სარეგისტრაციო სივრცე, ინდივიდუალური გასაუბრებისა და ჯგუფური თერაპიის ოთახები, ასევე პრობაციის ოფიცრების, სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების კაბინეტები. ახალ ბიუროში ასევე განთავსებულია ვიდეოპაემნის სერვისი.**

**ახალ ოფისში ყველა პირობაა შექმნილი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის. პირობების საგრძნობლად გაუმჯობესება თბილისის პრობაციის ბიუროს თანამშრომლებს დაეხმარება მათ წინაშე არსებული ამოცანების წარმატებით განხორციელებაში, პრობაციონერებისთვის ცხოვრებისეული პერსპექტივის შექმნასა და ახალი უნარ-ჩვევების შეძენაში. თბილისის ბიურო 6 ათასამდე პრობაციონერს მოემსახურება.**

**როგორც ცნობილია, თბილისის გარდა, განახლებული ოფისები თელავში, ტყიბულში, ზესტაფონში, ხულოსა და შუახევში გაიხსნა.**

**ინტერპრესი**

◉ ახალი რანგი საკომუნიკაციო ბაზარზე

# მაგთიკომის 4G ქსელი — მაღალი სიჩქარე და მეტი არეალი

უკვე პირველი თებერვლიდან, საქართველოს საკომუნიკაციო მარეგულირებელი კომისიის ნებართვით, საქართველოს საკომუნიკაციო ბაზარზე ინტერნეტ-მომსახურების ახალი რანგი დაინერგა — 4G მომსახურება, რომელიც წინამორბედს სიჩქარით 7-ჯერ აღემატება. ინტერნეტსიჩქარე, რომელიც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია საქმიანი (და არამარტო) ადამიანების ფართო წრისთვის.

კომპანია „მაგთიკომმა“, როგორც საქართველოს საკომუნიკაციო ბაზრის ლიდერმა, საქართველოში 4G მომსახურება თავის მომხმარებელს დაშვების პირველივე დღიდან შესთავაზა.

ახალი მომსახურების ფასებზე, დაფარვის არეალზე ახალ აქციებსა და ასევე კომპანიის მიერ საქართველოს ბიუჯეტში განხორციელებულ შენატანებზე ვესაუბრებით **მაგთიკომის გენერალური დირექტორის მოადგილეს მარკეტინგის დარგში ირაკლი ლობჟანიძეს**:

***— შეიცვალა თუ არა ინტერნეტმომსახურების ფასები? რამდენად ხელმისაწვდომია მომხმარებლისთვის მე-4 თაობის ქსელით სარგებლობა?***

— „მაგთიკომმა“ ყველა მომხმარებელს, განურჩევლად იმისა, თუ რომელი ბრენდით სარგებლობს, შესაძლებლობა მისცა ისარგებლოს მე-4 თაობის ქსელით და ინტერნეტპაკეტების ახალი ტარიფებით. რასაკვირველია, მას უნდა ჰქონდეს შესაბამისი ტელეფონი, ხოლო საჭირო სიმ-ბარათი უფასოდ გაიცემა მაგთის ოფისებში.

ინტერნეტპაკეტების არჩევანი მრავალფეროვანია და ახლა უკვე ბევრად ხელმისაწვდომი, რაც კიდევ უფრო მეტ მომხმარებელს აძლევს საშუალებას, თავად შეაფასოს „მაგთიკომის“ მე-4 თაობის ქსელის უპირატესობა და ხარისხი.

ინტერნეტპაკეტების პარალელურად, „მაგთიკომი“ მომხმარებელს სთავაზობს ინტეგრირებულ პაკეტებსაც, სადაც ინტერნეტმომსახურება ხმოვან და სმს-სერვისთან არის გაერთიანებული. ასე რომ, მომხმარებელს თავისი საჭიროებიდან გამომდინარე, დიდი არჩევანი აქვს. დეტალური ინფორმაცია შეუძლიათ იხილონ კომპანიის ვებ გვერდზე. **სხვა ოპერატორებისგან განსხვავებით, მაგთიკომში ინტერნეტპაკეტის ამოწურვის შემდეგ ანგარიშიდან მეგაბაიტების ხარჯვა ავტომატურად არ გრძელდება, რაც აბონენტს გაუთვალისწინებელ ხარჯს აცილებს**.

***— მე-4 თაობის ქსელის კომერციულად გაშვებასთან დაკავშირებით სთავაზობთ თუ არა მომხმარებელს რამე აქციას?***

— ჩვენს ქსელზე პორტირებულ ყველა მომხმარებელს საჩუქრად ვთავაზობთ 4 გიგაბაიტ ინტერნეტს. ამ საჩუქარს ისიც გამოარჩევს, რომ მეგაბაიტების მოხმარების ვადა განუსაზღვრელია, მხოლოდ ყოველთვიურად შეიძლება მათი „გაცოცხლება“ ახალი პაკეტის დამატებით. პორტირებულ აბონენტებს საშუალება ექნებათ იგრძნონ „მაგთიკომის“ ხარისხის უპირატესობა და თანაც პრაქტიკული საჩუქარი მიიღონ.

ჩვენს ყველა მომხმარებელს კი „მაგთიკომის“ ოფისებში მე-4 თაობის ტელეფონების შეძენისას საუკეთესო პირობები ელის: წამყვანი სატელეფონო ბრენდების ლიცენზირებული მოდელების დიდი არჩევანი, 18-თვიანი განვადება, თვეში 22 ლარიდან და, რაც მთავარია, 1 წელი ინტერნეტი საჩუქრად.

***— რა თანხა დახარჯა კომპანიამ 4G-ის დასანერგად?***

***ირაკლი ლობჟანიძე:*** „მაგთიკომის“ მიერ 4G ლიცენზიის მოდიფიცირებისთვის განსაზღვრული თანხა 154 მილიონ ლარს აჭარბებს (154 212 964), რაც მთლიანად საქართველოს ბიუჯეტში მიემართება და მნიშვნელოვანი ინვესტიციაა როგორც დარგის, ისე ქვეყნის განვითარების თვალსაზრისით. ამას ემატება ის მრავალმილიონიანი ინვესტიცია, რაც უშუალოდ ქსელის ტექნიკურ გამართვას ესაჭიროება. ჯამში ასობით მილიონი ლარის ინვესტიციაზეა საუბარი.

***— რა უპირატესობა აქვს „მაგთიკომს“ იმ კონკურენტ კომპანიასთან მიმართებაში, რომელსაც ასევე აქვს 4G მომსახურება?***

— „მაგთიკომის“ მობილური ქსელი კომერციული გაშვების დღიდან ვითარდება და მომხმარებელს ეტაპობრივად სთავაზობს მსოფლიოს უახლეს ტექნოლოგიებს. სრულფასოვანი, ხარისხიანი, მდგრადი სერვისის მისაღებად მხოლოდ მეოთხე თაობის ქსელის არსებობა არ არის საკმარისი: ჩვენ დავიწყეთ მეორე თაობის (2G) ქსელით, შემდეგ იყო მესამე თაობის (3G) ქსელი, მიმდინარე წლის 1 თებერვლიდან კი მაგთიკომმა მეოთხე თაობის (4G) ქსელის მომსახურება შესთავაზა მომხმარებელს. იმ შემთხვევაში, თუ ამ ლოგიკური ჯაჭვიდან ერთი კომპონენტი მაინც ამოვარდა, მიწოდებული მომსახურების ხარისხი მკვეთრად გაუარესდება და მომსახურება არამდგრადი გახდება.

თუ ოპერატორს არ აქვს მესამე თაობის ქსელი, მისი მომხმარებელი შესაძლოა პერიოდულად აღმოჩნდეს ისეთ გეოგრაფიულ წერტილში, სადაც 4G ქსელის დაფარვა არ ვრცელდება და იგი ავტომატურად გადავა 2G ქსელზე, სადაც ინტერნეტის სიჩქარე გაცილებით დაბალია 4G ქსელთან შედარებით. აღნიშნული გარემოება მომხმარებლისთვის არასასიამოვნო გამოცდილება იქნება. მაგთიკომის შემთხვევაში კი, თუ მომხმარებელი იგივე სიტუაციაში აღმოჩნდება, იგი მე-4 თაობის ქსელიდან გადავა მე-3 თაობის ქსელზე და ინტერნეტის სიჩქარე შედარებით შემცირდება, თუმცა, კვლავ განაგრძობს მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით სარგებლობას. გარდა ამისა, რაც არ უნდა სრულყოფილი იყოს მე-4 თაობის ქსელის დაფარვა, რომელიც მობილური ინტერნეტის სიჩქარის განმსაზღვრელია, მე-3 თაობის ქსელის არქონა ხმოვანი სერვისების არამდგრადობას განაპირობებს.

სწორედ ის, რომ „მაგთიკომს“ აქვს მე-2, მე-3 და მე-4 თაობის ქსელები და მობილური სამყაროს განვითარების ყველა საფეხურს მოიცავს, განაპირობებს ჩვენი ქსელის ხარისხიანობას, სანდოობას და უპირატესობას როგორც ხმოვანი, ისე ინტერნეტმომსახურების კუთხით.

კონკურენტი კომპანია ხშირად აპელირებს უფრო სწრაფ მე-4 თაობის ქსელზე, რასაც შეცდომაში შეჰყავს მომხმარებელი: სიჩქარის თეორიული მაქსიმუმი ერთნაირია ყველა იმ ოპერატორისთვის, ვისაც აქვს ლიცენზია და სრულფასოვანი ქსელი. ჩვენ მსგავსი ტიპის განცხადებებისგან თავს ვიკავებთ, უბრალოდ, განვმარტავთ იმ უპირატესობებს, რაც მოცემულობაა და არა უტრირებული სარეკლამო გზავნილი.

***— სად შეიძლება მე-4 თაობის სერვისით სარგებლობა?***

— 4G დაფარვის არეალი დღითი დღე ფართოვდება, ამის პარალელურად მიმდინარეობს ქსელის ოპტიმიზაცია, მოდერნიზაცია.

„მაგთიკომმა“ მე-4 თაობის ქსელი კომერციულად 1 თებერვალს გაუშვა. დღეისათვის მომხმარებელს მე-4 თაობის ინტერნეტკავშირით სარგებლობა შეუძლია შემდეგ ქალაქებსა და სოფლებში: თბილისი, ბათუმი, ქობულეთი, ფოთი, ოზურგეთი, ქუთაისი, ბაღდათი, საირმე, ვანი, ზესტაფონი, ჭიათურა, საჩხერე, თერჯოლა, ზუგდიდი, ლენტეხი, ცაგერი, ბაკურიანი, გუდაური, დმანისი, ბოლნისი, მარნეული, გარდაბანი, რუსთავი, თეთრიწყარო, წალკა, ბაზალეთი, დუშეთი, არმაზი, მცხეთა, გორი, ხაშური, ქარელი ახალციხე, ბორჯომი, ახალქალაქი, ვალე, ადიგენი, სიღნაღი, წნორი, ლაგოდეხი, დედოფლისწყარო, თელავი, საგარეჯო, ყვარელი, გურჯაანი, ახმეტა...

**ნია ფიფია**

# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

**ობიექტი № 1**

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | **ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია:**<br><br>**1.**დაიცვას საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 თებერვლის #293 განკარგულებით გათვალისწინებული მოთხოვნები. კერძოდ:<br>ა) ლიცენზიის მოქმედების ვადის გასვლამდე განახორციელოს სალიცენზიო ობიექტის კონტურში არსებული საავტომობილო გზის მონაკვეთის (რუსთაველის ქუჩა) რეაბილიტაცია - პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა;<br>ბ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება განახორციელოს ოთხ ეტაპად, თანდართული ტოპოგრაფიული რუკის (განკარგულების დანართი №1) მიხედვით, უბნების რიგითობის შესაბამისად. სალიცენზიო ობიექტის მე-4 უბანი დამუშავდეს მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში. თუ მოპოვებითი სამუშაოების წარმოებისას - პირველი, მე-2 ან მე-3 უბნის დამუშავების დროს მოხდება მე-4 უბნით გათვალისწინებულ ფართობზე მიწის საფარის დაზიანება (ჩანგრევა/ჩავარდნა), ან ადგილი ექნება მსგავსი საფრთხის შემცველ გარემოებებს, ლიცენზიანტი ჯერ უზრუნველყოფს ხსენებული უბნის დამუშავებას;<br>გ) მხოლოდ წინა ეტაპის (განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული შესაბამისი უბანი) დასრულების შემდეგ (მოპოვება, მოპოვების შემდგომ გაჩენილი ქვაბულის სრულად ამოვსება, მიწის ზედაპირის მოსწორება), რაც დადასტურდება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისა (შემდგომში - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი) და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის შესაბამისი უფლებამოსილი პირების ერთობლივი აქტით, განახორციელოს შემდეგი ეტაპის დაწყება;<br>დ) სალიცენზიო ობიექტის დამუშავებისას გაითვალისწინოს სალიცენზიო ობიექტის კონტურში არსებული გზის მონაკვეთის მიმდებარედ განლაგებული კერძო ობიექტების მესაკუთრეთა და მოსარგებლეთა ინტერესები. ქონებით სარგებლობის შეუძლებლობის, ან/და ზიანის მიყენების შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურება ან კომპენსაციის გაცემა განახორციელოს მხარეთა შორის ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე ან საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.<br>ე) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების დაწყებამდე ლიცენზიის მფლობელმა ზესტაფონის მუნიციპალიტეტს შეუთანხმოს სალიცენზიო ობიექტის კონტურში არსებული გზის მონაკვეთის რეაბილიტაციის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა, რომელზეც გაცემულ იქნება სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შესაბამისი დასკვნა; აღნიშნული შეთანხმების თაობაზე ინფორმაცია წარუდგინოს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს; |
| 5 | | ვ) მომზადებული წიაღითსარგებლობის პროექტი განსახილველად წარუდგინოს გარემოსდავითი ზედამხედველობის დეპარტამენტს, ხოლო რეკულტივაციის პროექტი შეათანხმოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან;<br>ზ) „ე“ და „ვ“ პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შემდგომ, ლიცენზიის მფლობელმა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების დაწყებამდე გზის რეაბილიტაციის პროექტის (ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად) ღირებულებისა და რეკულტივაციის პროექტის ხარჯთაღრიცხვის გათვალიწინებით, ზესტაფონის მუნიციპალიტეტს წარუდგინოს პროექტების იდენტური თანხის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია. მუნიციპალიტეტში საბანკო გარანტიის წარდგენის შემდგომ ინფორმაცია აღნიშნული ვალდებულების შესრულების თაობაზე წარუდგინოს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს;<br>თ) ლიცენზიის მფლობელი უფლებამოსილია განახორციელოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებითი სამუშაოები „ე“ „ვ“ და „ზ“ პუნქტებით გათვალისწინებული პირობების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემდგომ. ერთ-ერთ პირობის შეუსრულებლობის შემხვევაში ლიცენზიის გამცემი იღებს გადაწყვეტილებას ლიცენზიის გაუქმების შესახებ;<br>ი) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებითი სამუშაოების დაწყებისა და დასრულების ვადები შეათანხმოს ზესტაფონის მუნიციპალიტეტთან და აღნიშნული ვადების თაობაზე შეთანხმების შემდგომ აცნობოს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტსა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოს;<br>კ) უზრუნველყოს სილიკომანგანუმის ქერქული ნარჩენების გატანა თანდართული სქემის (დანართი №2) მიხედვით;<br>ლ) სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტოსატრანსპორტო საშუალებებით;<br>მ) სალიცენზიო ობიექტზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებითი სამუშაოების დასრულების შემდგომ უზრუნველყოს სალიცენზიო ობიექტის კონტურში არსებული გზის საფარის დაგება, „ე“ პუნქტით შეთანხმებული პროექტის შესაბამისად;<br>ნ) ზესტაფონის მუნიციპალიტეტსა და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს წარუდგინოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შესაბამისი დასკვნა, რომელიც დაადასტურებს საავტომობილო გზის მონაკვეთის (რუსთაველის ქუჩა) რეაბილიტაცია - პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის სამუშაოების შესაბამისობას გზის მონაკვეთის რეაბილიტაციის შეთანხმებულ პროექტთან;<br>ო) საჭიროა ექსპლუატაციის პერიოდში წარმოქმნილი ქვაბულების კედლების მდგრადობის უზრუნველყოფა, ხილო ექსპლუატაციის დროს, ეტაპობრივად ქვაბულის მთლიანად ამოვსება და რელიეფისათვის პირვანდელი სახის დაბრუნება.<br>პ) სილიკომანგანუმის ქერქული ნარჩენების მოპოვება განხორციელდეს წინასწარ შედგენილი და შესაბამის უწყებებთან შეთანხმებული წიაღით სარგებლობის და რეკულტივაციის პროექტების შესაბამისად.<br>1. ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, ,,ბუნებრივი რესურსებით |
| | | სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” და „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>3. დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. ზესტაფონი, რუსთაველის ქუჩა, სილიკომანგანუმის ქერქული ნარჩენების ტექნოგენური დანაგროვი (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 177 550 ტონა). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. ზესტაფონი, რუსთაველის ქუჩა |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 000 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 000 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა (80%) + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 8 200 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 05 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 06 აპრილს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 06 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 06 აპრილს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 2**

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების პროექტის მიხედვით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გასცეს თანხმობა, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს მიერ სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის შემთხვევაში.<br>გ) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება.<br>დ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისათვის უსაფრთხოების წესებისა და ნორმების დაცვით.<br>ე) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით.<br>ვ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” და „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. შუა ბაშის მიმდებარე ტერიტორია, „შუა ბაშის“ ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 350 100 $მ^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. შუა ბაშის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 46 944 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 4 694,4 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა (80%) + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 37 755 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 05 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 06 აპრილს დღის 18:00 საათზე |

| | | |
|---|---|---|
| | დრო და თარიღი | |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 06 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 06 აპრილს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 3** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის |
| | | მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. გარდაბანის ტერიტორიაზე მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 365 მ$^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. გარდაბნის ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 12 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1,2 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 202 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 05 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 06 აპრილს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 06 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 06 აპრილს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 4** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” და „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი |
| | | პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | აბაშის მუნიციპალიტეტი, სოფ. ძველი აბაშის მიმდებარე ტერიტორია, მდ. აბაშის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 9 900 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | აბაშის მუნიციპალიტეტი, სოფ. ძველი აბაშის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 1 722 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 172,2 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 544 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 05 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 06 აპრილს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 06 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 06 აპრილს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 5** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისას უნდა გამოირიცხოს ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების ჩატარება.<br>ბ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი |
| | სარგებლობისათვის | უნდა დასაწყობდეს ექსპლუატაციის შემდგომ ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით.<br>გ) ობიექტის დამუშავება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების პროექტის მიხედვით.<br>დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის ”გარემოს დაცვის შესახებ“, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | წალკის მუნიციპალიტეტი, სოფ. ოზნის მიმდებარე ტერიტორია, „ოზნის“ ანდეზიტო-დაციტის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 560 500 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | წალკის მუნიციპალიტეტი, სოფ. ოზნის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 000 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 000 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 2 200 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 05 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 06 აპრილს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 06 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 06 აპრილს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

◎ უკვდავება

# ლეგენდის დასასრული

**„პატარა ვიყავი, გურამ მინაშვილის თამაში რომ ვნახე. იმდენად მომეწონა, მისი გავლენით მეც მცველი გავხდი... საოცრად მოქნილი იყო, საკუთარი რეაქციის მართვა შეეძლო, მოედანზე იწვოდა, მეტოქის შიში არ ჰქონდა... იგი ორგანიზატორული ნიჭითაც გამოირჩეოდა. მსგავსი კალათბურთელი იშვიათად მინახავს“, — ეს სიტყვები სახელოვან ქართველ კალათბურთელს, მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონ ზურაბ საკანდელიძეს ეკუთვნის.**

სპორტის სტაჟიანი ქომაგები დაგვემოწმებიან, რომ ბატონი გურამ მინაშვილი, მართლაც, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული, გამორჩეული პიროვნება გახლდათ. როგორც თავად არაერთხელ აღუნიშნავს, კალათბურთს ფიზკულტურის მასწავლებელმა ვახტანგ მარსაგიშვილმა აზიარა, შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბავშვთა კალათბურთის



წრეში ცნობილ სპეციალისტ შალვა დიასამიძესთან იმაღლებდა ოსტატობას. აქედან დაიწყო სპორტული კარიერა. ნიჭიერი ყმაწვილი გიორგი ავალიშვილმა 1953 წელს თბილისის „დინამოს“ ოსტატ კალათბურთელთა გუნდში მიიწვია. იმ წელიწადს დინამოელებმა თბილისში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი მოიგეს, მაგრამ ახალწვეულს ოქროს მედალი არ ერგო, რადგან საამისოდ თამაშების რაოდენობა არ ეყო. „ჩემთვის, 17 წლის ყმაწვილისთვის, ისიც დიდი ჯილდო იყო, რომ იმ შეჯიბრების პრიზიორთა დაჯილდოებისას სპორტული კოსტიუმი მაჩუქეს და „დინამოს“ შემადგენლობაში ვვარჯიშობდი და ვთამაშობდი ისეთი კორიფეების გვერდით, როგორებიც იყვნენ



ოთარ ქორქია, ნოდარ ჯორჯიკია, ჯუმბერ ნიჟარაძე, ლევან ინწკირველი, ალექსანდრე კილაძე და სხვები“, — მითხრა ერთ-ერთი ინტერვიუსას ბატონმა გურამმა.

მართალია, სადებიუტო წელიწადს მედალი არ ერგო, მაგრამ მომდევნო წლებში მისი სპორტული კოლექცია უამრავმა ჯილდომ დაამშვენა: 1960 წლის რომის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორმა სამჯერ ევროპის ჩემპიონობა (1957, 1959, 1963) მოიპოვა, 1962 წელს ევროპის ჩემპიონთა თასი დაისაკუთრა, 1963 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე „ბრინჯაო“ ერგო, 1959 წლის საბჭოთა კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადაზე მეორე ადგილი დაიკავა, თუმცა იმავე წელს დიდი გულისტკივილიც განიცადა: თანაგუნდელ გურამ აბაშიძესთან ერთად საბჭოთა კავშირის ნაკრებში მიიწვიეს. სანტიაგოში მსოფლიოს ჩემპიონატზე საბჭოთა გუნდმა ყველა მეტოქე დაამარცხა, მათ შორის — ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთელები. რჩებოდა ერთი ფორმალური შეხვედრა ტაივანის გუნდთან. საბჭოთა მთავრობამ თავის კალათბურთელებს ტაივანელებთან შეხვედრა აუკრძალა, რის გამოც დისკვალიფიკაცია არ ასცდათ: მინაშვილისა და აბაშიძის ოქროს მედლები პოლიტიკურ ინტრიგას შეეწირა.

1959 წელი ბატონი გურამისთვის იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ საბჭოთა ნაკრებთან ერთად ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა. იქ რამდენიმე მატჩი ითამაშა და მასპინძელთა ქებაც დაიმსახურა. განსაკუთრებით „დენვერ თრაქერზთან“ მატჩში გამოიჩინა თავი. ძირითადი დრო ფრედ — 82:82 დამთავრდა. დამატებით ხუთწუთიან მონაკვეთში გურამ მინაშვილმა მოედანზე ნამდვილი სასწაული მოახდინა: ამ მცირე დროში საკუთარ გუნდს 9 ქულა შესძინა, თანაც ბოლო წუთზე საკუთარი ფარიდან ასხლეტილ ბურთს დაეუფლა, დრიბლინგით გაიჭრა მეტოქის კალათისკენ და ზუსტი ტყორცნით გამარჯვება მოუტანა საბჭოთა ნაკრებს. მატჩის შემდეგ ერთ-ერთი პროფესიული კლუბის წარმომადგენლები საბჭოთა ნაკრების მწვრთნელებთან მივიდნენ თხოვნით მინაშვილის მათს გუნდში გადასვლის თაობაზე, მაგრამ მაშინ ამგვარ გარიგებაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა და მასპინძლებმა ზრდილობიანი უარი მიიღეს.

გურამ მინაშვილმა ვირტუოზული თამაშით იტალიელი ქომაგებიც გააოცა და აღაფრთოვანა მაირანის თასის გათამაშებისას ბოლონიაში. ქართველმა კალათბურთელმა მასპინძელთა კაპიტან ალეზინის ბურთიც არ ჩააგდებინა, თავად კი რვა ქულა შესძინა საკუთარ გუნდს. იმ ტურნირზე უნგრელთა გუნდის ლიდერი ბანჰედი ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელის პრიზით დააჯილდოვეს, თუმცა მინაშვილთან თამაში არც მას გამოუვიდა — შვიდ ქულას დასჯერდა, ბატონმა გურამმა კი ხუთი ქულით მეტი შესძინა საბჭოელებს. საბოლოოდ კი ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს და სპეციალური ოქროს მედალიც გადასცეს.

„სპორტული კარიერის განმავლობაში უამრავი ჯილდო მიმიღია. ყველა მათგანი საპატიო და სანუკვარია, მაგრამ 1962 წელს ჟენევაში მოპოვებულ ევროპის ჩემპიონთა თასს არაფერი შეედრება. მაშინ თბილისის „დინამომ“ გადამწყვეტ მატჩში თვით მადრიდის „რეალი“ დაამარცხა. ეს იყო ქართული გენის უმაღლესი გამოვლინება“, — მითხრა იმ დიდი გუნდის კაპიტანმა.

აქტიურ სპორტთან განშორების შემდეგ გურამ მინაშვილი წლების განმავლობაში საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრას ხელმძღვანელობდა. სიცოცხლის ბოლო წუთამდე კალათბურთით ცოცხლობდა. უხაროდა, რომ საქართველოს ნაკრები ზედიზედ მესამედ გავიდა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. ვაგლახ, რომ იმ შეჯიბრებას ვერ მოესწრო. ამიერიდან მის სახელს წარსულში მოვიხსენიებთ, რადგან ჩვენს შორის აღარ არის ქართული კალათბურთის ლეგენდა, გულისხმიერი პიროვნება გურამ მინაშვილი, რომელმაც სამუდამო სასუფეველში გადაინაცვლა. დღეს მის ნეშტს ჩაიხუტებს მშობლიური თბილისის მიწა, რომელზეც 79 წელიწადი ამაყად და თავაწეული დააბიჯებდა.

**ვაჟა დანელია**

◎ ასეც ხდება

# გიორგი ლორია: დიდი სტრესი მაქვს

**საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მეკარემ გიორგი ლორიამ ინტერნეტპორტალ gazzetta.gr-სთან ინტერვიუში განაცხადა, რომ მის ამჟამინდელ კლუბ ბერძნულ ოფი-ს ფიფაში არ უჩივლებს, მაგრამ ასეთ პირობებში ფეხბურთის თამაში შეუძლებელია.**



„სიტუაცია ცუდი კი არა, დამანგრეველია. სახლის ქირას, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, არ იხდიან და ზოგჯერ ცხელი წყალი არ გვაქვს. საბერძნეთის სუპერლიგა სამოყვარულო ჩემპიონატად გადაიქცა. ასეთ ვითარებაში ფეხბურთის სათამაშოდ როგორ უნდა განვეწყო? დიდი სტრესი მაქვს.

ჩემს სატელეფონო ზარებს ოფი-ს ხელმძღვანელობიდან არავინ პასუხობს. ეს კლუბი მიყვარს და ფიფაში ჩივილს არ ვაპირებ. ყველაზე ადვილი იქნებოდა, რომ ოფი მიმეტოვებინა და თბილისის „დინამოში“ მევარჯიშა. მე და მერებაშვილს ოფი-ს ბედი გვაღელვებს და ვცდილობთ გამოსავალი ვნახოთ, მაგრამ არავინ გვპასუხობს. ვის დაველაპარაკოთ?

არსებობენ ადამიანები, რომელთა ცხოვრება ოფი-ა. მათი ღალატი არ მინდა, მაგრამ გუნდის პრობლემებში თავს მიტოვებულად ვგრძნობთ. მოთამაშეებზე არავინ ზრუნავს“ — თქვა ლორიამ, რომელიც მერებაშვილთან ერთად მიმდინარე სეზონის ბოლოს ოფი-ს თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვებს.

**გიორგი შოთაძე**

◎ რაგბი

# სარეიტინგო ადი-ჩადი

**საქართველოს ნაკრებმა მადრიდში ესპანეთი 26:13 დაამარცხა და რეიტინგს თითქმის 0,5 ქულა შეჰმატა, რაც სრულიად საკმარისი იქნებოდა იტალიის მე-14 საფეხურიდან დასაქვეითებლად, მაგრამ ჩვენს ჯიბრზე „აძურამ“ედინბურგში შოტლანდია სენსაციურად 22:19 დაამარცხა და მარტო პოზიცია კი არ შეინარჩუნა, უპირატესობა თითქმის 2 ქულამდე გაზარდა.**



ირლანდიამ ინგლისის 19:9 დამარცხებით 2015 წლის მსოფლიო თასის მასპინძელი მესამე ადგილიდან ჩამოაქვეითა, ჩრდილოეთ ნახევარსფეროს საუკეთესო გუნდად მოგვევლინა და სამხრეთ აფრიკას 2-ზე ნაკლები ქულით ჩამორჩება. უელსმა პარიზში 20:13 მოგებით ფრანგებთან უპირატესობა 4 ქულამდე გაზარდა, თუმცა მე-6 ადგილს ვერ ასცდა. ზემოთნახსენებმა შოტლანდიამ იტალიასთან მარცხით მე-9 პოზიცია დაკარგა და მე-10 საფეხურამდე დაეშვა.

რუსეთმა რუმინეთს 16:13 რომ მოუგო, მე-19 ადგილზე აინაცვლა და საქართველოს ამ პოზიციით ეწვევა. ქულებთან ერთად მე-16 ადგილი დაკარგა რუმინეთმა, რომელსაც ამერიკამ გადაასწრო.

**მსოფლიო რაგბის რეიტინგი 5 მარტისთვის:** (1). ახალი ზელანდია 93,70, 2 (2). სამხრეთ აფრიკა 88,23, 3 (4). ირლანდია 86,38, 4 (3). ინგლისი 85,11, 5 (5). ავსტრალია 82,95, 6 (6). უელსი 82,85, 7 (7). საფრანგეთი 78,96, 8 (8). არგენტინა 78,23, 9 (10). სამოა 75,39, 10 (9). შოტლანდია 75,22, 11 (11). იაპონია 74,70, 12 (12). ფიჯი 74,57, 13 (13). ტონგა 74,12, 14 (14). იტალია 73,08, 15 (15). საქართველო 71,19, 16 (17). აშშ 67,61, 17 (16). რუმინეთი 67,03, 18 (18). კანადა 66,83, 19 (20). რუსეთი 64,73, 20 (19). ურუგვაი 63,58.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◎ ინტერნეტიდან

# კარლა ჩიზი - მოდელი და ბლოგერი

**არგენტინელი მოდელი კარლა ჩიზი მოდელობის გარდა ბლოგერობითაცაა გატაცებული და მისი ნაწერი ბლოგ-ტექსტები თურმე მთელს მსოფლიოში მიმოფანტულ ესპანურენოვან მკითხველებში ნამეტანი რეიტინგული ყოფილა, რაც ამ გოგონას პოპულარობას, ცხადია, სათანადოდ ადგება.**

რაზე არ წერს ეს ჩვენი მოდელ-ბლოგერი, დაწყებული სამოდელო სფეროში მომხდარი ამბებით და დამთავრებული არგენტინული სტეიკის მომზადების მისეული მეთოდებით, ამას წინათ კი კარლა ჩიზის ერთი ბლოგი არგენტინელი ფეხბურთელებისათვის მიუძღვნია.



კარლა ჩიზის აზრით, არგენტინის ნაკრების ფეხბურთელთა შორის ყველაზე სექსუალური და მიმზიდველი მამაკაცი გონსალო იგუაინია და არა სერხიო აგუერო, როგორც ქალების უმეტესობა ფიქრობს. კარლა ამბობს, რომ ბავშვობაში მისი კერპი არიელ ორტეგა იყო, თუმცა ამის შემდეგ დიდი დრო გავიდა.

**როსტომ რაჭველიშვილი**

**სანთელი**

# დიდხანს შევინახავთ მის ხსოვნას!



წავიდა „ილიჩი“... კიდევ ერთი უფროსი კოლეგა და მეგობარი დაგვემშვიდობა... ვლადიმერ (ვალიკო) სიმონიშვილი სხვა კაცი იყო, ამიტომაც უსაშველოდ დასწყვიტა გული მთელს რედაქციას...

„საქართველოს რესპუბლიკაში“ იგი უკვე გვარიანი ხანმოთეული მოვიდა – გაზეთების „სახალხო განათლების“ და „რესპუბლიკის“ „გავლით“, მაგრამ ჟურნალისტიკას, საგაზეთო საქმეს, კვლავაც ახალგაზრდულად ემსახურებოდა, მუყაითობის, ოპერატიულობის მაგალითს აძლევდა ახალგაზრდა კოლეგებს... რაც მთავარია, ჩვენი „ილიჩი“ მაგალითი იყო კაცურკაცობის, ჭირსა და ლხინში თანადგომისა... სიღნაღში დაბადებულ და გაზრდილ კაცს, დღემუდამ იქაურობის მოტრფიალეს, სიტყვაც უჭრიდა, კახური ღვინის ფასიც იცოდა და არც სადღეგრძელო და ჭიქის მოჭახუნება ეშლებოდა მოცალეობის ჟამს...

ის კაცი იყო, გულის კოვზზე რომ ეწერა სამშობლოს, ოჯახის, მეუღლის, შვილებისა და შვილიშვილების, კოლეგების, მეგობრების, მეზობლების განუზომელი სიყვარული... ერთ დღესაც რომ არ გამოჩენილიყო ჩვენს გვერდით ეს ოთხმოცს გადაცილებული კაცი, აუცილებლად მოვიკითხავდით...

რას ვიზამთ... უმისობასაც შევეჩვევით, თუმცა, სანამ ვიქნებით, მანამ შევინახავთ მის ხსოვნას!

ნათელი დაგადგეს, ჩვენო „ილიჩ!“

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია**



გარდაიცვალა ლეგენდარული სპორტსმენი, ერის საამაყო შვილი, სახელოვანი კალათბურთელი, ბატონი **გურამ მინაშვილი**, რომელმაც მრავალჯერ ასახელა თავისი ქვეყანა საერთაშორისო ასპარეზზე.

ბატონი გურამი გამორჩეული ადამიანი იყო – თავმდაბალი, კაცთმოყვარე, ერთგული მეგობარი და მრავალ კეთილ საქმეთა მოთავე.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი დიდი გულისტკივილით ეთხოვება ღირსეულ მამულიშვილს, სამძიმარს უცხადებს ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

**მერაბ ბერძენიშვილი**

ოთარ ჭითანავა, გივი სოსელია, ჯემალ კვირტია, მურად ანჯაფარიძე, კახა არდია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის დამაარსებელი და რექტორი, პროფესორი

**გრიგოლ პეტრეს ძე ხვიტია**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**ინფორმაცია**

## დაკავებულია გამგეობის მაღალჩინოსანი

**შინაგან** საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე, თბილისის საბურთალოს რაიონის გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი სპეციალისტი მიხეილ ქვირია დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ 3 მარტს მიხეილ ქვირიამ ინდოეთის და ერაყის მოქალაქეებს თბილისში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე, საბურთალოს რაიონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 6300 კვ.მ მიწის ნაკვეთის შესაძენად აუქციონის მომზადებისა და ჩატარების უზრუნველყოფაში დახმარების გაწევის სანაცვლოდ ქრთამის სახით მოსთხოვა და გამოართვა 10 000 აშშ დოლარი.

გამოძიება დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით 7-დან 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

**შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ**

პროექტის დასახელება: **კახეთის რეგიონული გზების გაუმჯობესების პროექტი**

განმახორციელებელი სააგენტო: **საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**

ქვეყანა: **საქართველო**

პროექტის ნომერი: **P117152**

სატენდერო დოკუმენტის/კონტრაქტის საიდენტიფიკაციო ნომერი: **KRRIP/CS/CQS-05**

გამარჯვებული საკონსულტაციო კომპანია: **შ.პ.ს. “პროექტმშენკომპანი”**

კონტრაქტის ხელმოწერის თარიღი: **13 თებერვალი, 2015**

შერჩევის მეთოდი: **კონსულტანტის კვალიფიკაციაზე დაყრდნობით შერჩევის მეთოდი**

საკონტრაქტო ღირებულება: **49,796.00 ლარი**

კონტრაქტის ხანგრძლივობა: **2 თვე**

კონტრაქტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები: **საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება მცირე მასშტაბის საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესების სამუშაოებისთვის კახეთის რეგიონში (III ეტაპი).**

**Contract Award Notification**

Project Name: **Kakheti Regional Roads Improvement Project**

The project implementing Agency: **Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia**

Country: **Georgia**

Project Number: **P117152**

Bid/Contract Reference No: **KRRIP/CS/CQS-05**

Awarded Firm: **Proeqtmshencompani Ltd.**

Contract signature date: **February 13, 2015**

Method of Selection: **Consultant's Qualification Selection method**

Contract Price: **Gel 49,796.00**

Duration of Contract: **2 months**

Scope of Contract: **The preparation of design and bidding documents for small-scale road safety improvements in Kakheti Region (Stage III)**

**შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ**

პროექტის დასახელება: **შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მეორე პროექტი**

განმახორციელებელი სააგენტო: **საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**

ქვეყანა: **საქართველო**

პროექტის ნომერი: **P122204**

გამარჯვებული კომპანია: **შ.პ.ს. “ტყეპროექტი”**

მისამართი: **საქართველო, თბილისი, თემქა, მე-4 მ/რ, მე-5 კორპ., ბინა 95**

კონტრაქტის ხელმოწერის თარიღი: **25 თებერვალი, 2015**

შესყიდვის მეთოდი: **ერთ პირთან მოლაპარაკება**

კონტრაქტის ღირებულება: **3,000.00 ლარი**

ხანგრძლივობა: **1 თვე**

კონტრაქტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები: **მცხეთა – შიო მღვიმის საავტომობილო გზის (კმ0 – კმ4) კუთვნილებაში არსებული ნარგავების (ხეების) აღწერა.**

**Contract Award Notification**

Project Name: **Second Secondary and Local Roads Project (SLRPII)**

The project implementing Agency: **Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia**

Country: **Georgia**

Project Number: **P122204**

Awarded Firm: **Tkeproeqti Ltd.**

Address: **Temka, IV m/region, Building V, apart. 95, Tbilisi, Georgia**

Contract signature date: **February 25, 2015**

Method of Procurement/Selection: **Single Source Selection**

Price: **Gel 3000.00**

Duration: **1 Month**

Summary scope of contract: **Forest inventory/evaluation along right-of way of Mtskheta – Shio Mgvime Road Section (km0-km4)**

## განცხადება

### ინფორმაცია საჯარო განხილვების შესახებ

**მარნეულის 500 კვ ქვესადგურის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტი**

პროექტის განმახორციელებელი: **სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (სსე).**

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ხელახალ საჯარო განხილვას **მარნეულის 500 კვ ქვესადგურის მშენებლობის და ექსპლუატაციის** პროექტის განხორციელების მიზნით.

საკონსულტაციო შეხვედრები გაიმართება 2015 წლის 27 აპრილს, 14 საათზე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. №73, II სართული).

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია 500კვ ქვესადგურ მარნეულის მშენებლობა, რომელიც წარმოადგენს უკვე არსებული 220 კვ მარნეულის ქვესადგურის გაფართოება-რეაბილიტაციის პროექტის შემადგენელ ნაწილს, რაც შემდეგში ხელს შეუწყობს ელექტროენერგიის იმპორტ-ექსპორტს აზერბაიჯანსა და სომხეთში.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში – ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. №73, II სართული;
  საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო – ქ. თბილისი, გ.გულუას ქ.№6
- საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა (სსე) – ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ.№2, www.gse.com.ge

საზოგადოებისაგან საკუთარი მოსაზრებების და კომენტარების წარმოდგენა შესაძლებელია განცხადების გამოქვეყნებიდან 50 დღის განმავლობაში. ველით თქვენს კომენტარებს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2, III სართული, ოთახი №304, მობ: 591 22 40 10, საკონტაქტო პირი: **ზეზვა ხვედელიძე**, **ელ. ფოსტა**: zezva.khvedelidze@gse.com.ge

## განცხადება

2015 **წლის** 24 აპრილის 14 საათზე, სს „ფოთის გემთსაშენი ქარხნის“ ადმინისტრაციულ შენობაში (მის: ქ. ფოთი, დავითაიას ქუჩა 1), გაიმართება სს „ფოთის გემთსაშენი ქარხნის“ აკვატორიისა და ტერიტორიის ფარგლებში უნივერსალური გადასატვირთი კომპლექსის მშენებლობის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს სხვადასხვა სახის ტვირთების გადატვირთვა.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

– შპს „ტრანსფორდი“ – ქ. ფოთი, აღმაშენებლის ქუჩა 61.

– ქ. ფოთის მუნიციპალიტეტი – მის: ქ. ფოთი, აღმაშენებლის ქუჩა 12.

დოკუმენტაციის ელ. ვერსიის გაცნობა ასევე შესაძლებელია შემდეგ ელექტრონულ მისამართებზე: www.moe.gov.ge; www.aarhus.ge.

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა 2015 წლის 20 აპრილის 12 საათამდე.

**შპს „ტრანსფორდის“ ადმინისტრაცია**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
*„საქართველოს რესპუბლიკაში“*
299-62-77; 568 82-09-84..

**სხვა გაზეთიდან**

# ავადმყოფი ფ.-ს საიდუმლოება

## მოკლეს თუ არა სახალხო კომისარი ფრუნზე სტალინის ბრძანებით?

**ის 130 წლის წინათ დაიბადა, 1885 წლის 21 იანვარს, მაგრამ დღემდე ყველას უფრო მეტად აინტერესებს, როგორ მოკვდა იგი.**

1925 წლის 29 ოქტომბერს, 12:40, მოსკოვის სოლდატიონკის საავადმყოფოში ყველაზე გამოცდილი ქირურგების ბრიგადამ ავადმყოფ ფ.-ის მუცლის არეში დაიწყო რუტინული ოპერაცია. ნარკოზის ქვეშ 1 საათისა და 5 წუთის შემდეგ პაციენტი გონზე მოვიდა, იყო სუსტად, მაგრამ ცდილობდა თავი ფხიზლად წარმოეჩინა. 31 ოქტომბრის დილის 5 საათზე მან მოულოდნელად დაიჩივლა გულზე, დაკარგა გონება, 40 წუთის შემდეგ კი გარდაიცვალა. ჩვეულებრივი ამბავია, ავადმყოფი ფ. რომ არ ყოფილიყო



მიხეილ ვასილის ძე ფრუნზე, სამოქალაქო ომის გმირი, რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე და სსრ კავშირის სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი (თავდაცვის მინისტრი).

გავრცელებული ხმების პირველი ტალღა ამტკიცებდა: დამნაშავეა შერისხული ტროცკი, რომელიც ფრუნზემ შეცვალა ყველა პოსტზე 1925 წლის იანვარში. უფრო გვიანდელმა ხმებმა ყველაფერში სტალინს დასდეს ბრალი. ამ ვერსიაზე პირდაპირ მიუთითებდა მწერალი ბორის პილნიაკი „ჩაუმქრალი მთვარის მოთხრობაში“ (1926 წ.). განსაკუთრებულ დადასტურებას ანიჭებდა ის ფაქტი, რომ წიგნი გაყიდვიდან ამოიღეს გამოქვეყნებიდან 2 დღის შემდეგ, ავტორი კი დახვრიტეს. მას აქეთ ყველამ ზუსტად „იცის“: ჯანმრთელი 40 წლის სახალხო კომისარი „დაკლეს“ საოპერაციო მაგიდაზე ბელადის ბრძანებით.

### დაავადებათა თაიგული

**1905 წლის ოქტომბერში დაპატიმრების დროს კაზაკებმა ახალგაზრდა რევოლუციონერს მარცხენა მუხლის სახსარი დაუზიანეს. მას შემდეგ ფრუნზეს ხშირად ემართებოდა ფეხის ღრძობა. კატორღაში ტუბერკულოზი და კუჭის წყლული დაემართა.** 1916 წელს გაუკეთეს ოპერაცია აპენდიციტის ამოსაღებად. სამოქალაქო ომის დროს მიხეილს ავიაბომბის აფეთქების გამო კონტუზია დაემართა და გვერდშიც დაიჭრა. 1925 მშვიდობიან წელსაც კი მან „მოახერხა“ ორჯერ მოხვედრილიყო ავტოკატასტროფაში, რის შემდეგაც სახალხო კომისართა საბჭომ ის დასასვენებლად ყირიმში გაგზავნა. მაგრამ იქაც სახალხო კომისარმა გრიპი შეიძინა... როგორც თავად გარდაცვალებამდე რამდენიმე ხნით ადრე წერდა: „ფრუნზეების ოჯახი რაღაც ტრაგიკულია (**მის ცოლს სოფია ალექსის ასულს ტუბერკულოზი აწუხებდა – რედ.**) – ყველა ავადაა და ყველას უბედურებები ემართება...“

ცხოვრების უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ფრუნზეს თან სდევდა კუჭ-ნაწლავთა სისხლდენა და ტკივილები თორმეტგოჯა ნაწლავის მიდამოებში. ქვეყანას კი მისი გმირი ჯანსაღი სჭირდებოდა. 8 ოქტომბერს კონსილიუმმა ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრის სემაშკოს თავმჯდომარეობით დაადგინა: „სახეზეა წყლულოვანი პროცესის სურათი თორმეტგოჯა ნაწლავის უბანში, რაც იმუქრება, როგორც განმეორებითი სისხლდენით, ისე თავად წყლულის გახვრეტით“. სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისრის გადასარჩენად მოიშველიეს საბჭოთა მედიცინის საუკეთესო ძალები. წამყვანი ქირურგი იყო პროფესორი ვ.როზანოვი, რომელმაც დაჭრილი ლენინისგან ამოიღო კაპლანის ტყვია. მას ასისტენტობას უწევდნენ პროფესორები გრეკოვი, მარტინოვი, ობროსოვი და სხვები. თითოეულ მათგანს ჰქონდა თავისი სამეცნიერო სკოლა და იყო ბრწყინვალე სპეციალისტი. დაბოლოს, ანესთეზიოლოგი ალექსეი ოჩკინიც, რომელსაც მოგვიანებით ბრალი დასდეს ფრუნზეს მოწამვლაში ეთერისა და ქლოროფორმის ნარევით, ასევე იყო კორიფე. მაშ რატომღაც დასრულდა ყველაფერი ისე, როგორც დასრულდა?

ფრუნზეს სხეული გაკვეთა უდიდესმა საბჭოთა პათოლოგ-ანატომმა პროფესორმა ალექსეი აბრიკოსოვმა, რომელმაც 1924 წელს ასეთივე მომსახურება გაუწია ლენინს. აი ამონარიდები მისი დასკვნიდან: „მიხეილ ვასილის ძე ფრუნზეს დაავადება იყო... ერთი მხრივ, თორმეტგოჯა ნაწლავის მრგვალი წყლულის არსებობა, რომელიც ხორციელდებოდა... მეორე მხრივ, 1916 წლის ოპერაციის შედეგად ადგილი ჰქონდა მწვავე ანთებით პროცესს მუცლის არეში... 1925 წლის 29 ოქტომბრის ოპერაციამ გამოიწვია გულის მოქმედების მკვეთრი დაცემა და გარდაცვალება“.

### „სალამი... კობა“

**ესე იგი პაციენტს კურნავდნენ ერთი რამისგან, ის კი გარდაიცვალა მეორე რამისგან – წინა ხელისუფლების დროს ცუდად გაკეთებული ქირურგიისგან.** თანაც ოპერაციის დაწყების წინ ექიმებს წარმოდგენაც არ ჰქონდათ, თუ კიდევ რა სენი სჭირდა სახალხო კომისარს – იმ წლებში რენტგენი ეგზოტიკად ითვლებოდა, ულტრა-ბგერითი გამოკვლევების ხსენებაც კი არ ყოფილა. გაკვეთის შემდეგ ფრუნზეს აღმოუჩინეს: „გულის კუნთის, ღვიძლის, თირკმლების პარენქიმატოზული გადაგვარება. აორტისა და დიდი არტერიული მილების განუვითარებლობა...“ ყველა ამ დიაგნოზმა ესროლა კიდეც გულში ფრუნზეს, როდესაც ის ნარკოზიდან გამოდიოდა.

სტალინი? სტალინი მივიდა საავადმყოფოში 29 ოქტომბერს და დატოვა გულისშემძვრელი წერილი, რომლის წაკითხვაც ადრესატს უკვე აღარ შეეძლო: „მეგობარო! დღეს საღამოს 5 საათზე ვიყავით ამხ.როზანოვთან (მიქოიანი და მე). გვინდოდა შენთან შემოსვლა – არ შემოგვიშვა, ცუდმა. იძულებული ვიყავით, დავმორჩილებოდით ძალას. გაუძელი, ჩემო საყვარელო. სალამი. ჩვენ ისევ მოვალთ, ჩვენ ისევ მოვალთ... კობა“...

**სერგეი ოსიპოვი**

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

**იცოდით?**

# თმები ციფრებსა და ფაქტებში

**თმები – ეს არის დაცვის საფარი სიცივისა და სიცხისგან, მტვრისა და ქარისგან. ცხოველების თმების საფარს ბეწვი, მატყლი ან ჯაგარი ჰქვია.**

ადამიანის სხეულზე 3 სახეობის თმებია: ღინღლი – წვრილი, ხშირად უფერო, ისინი გვიფარავენ მთელ სხეულს, გარდა ფეხის გულების, ხელისგულებისა და ტუჩების არშიისა; ღეროვანი – იზრდება თავზე, მამაკაცებს კი სასქესო მომწიფების დაწყების შემდეგ – სახეზეც; ბალანი – იზრდება იღლიებში.

**საშუალოდ 2-დან 4 წლამდე ცოცხლობს საშუალოდ ყოველი თმა.**

0,4 მილიმეტრით ეზრდება ადამიანს თმები დღე-ღამის განმავლობაში. როდესაც გარკვეულ სიგრძეს მიაღწევს, იგი თანდათანობით გვცვივა, იცვლება ახლით. მამაკაცებს თმები ეზრდებათ უფრო სწრაფად, ვიდრე ქალებს.



**30-მდე ბეწვი შეიძლება წამოიზარდოს თმის ერთი ბოლქვიდან ადამიანის სიცოცხლეში.**

**ყველაზე უფრო სწრაფად თმები ადამიანებს ეზრდებათ 15-24 წლის ასაკში.**

დედამიწის მოსახლეობის მხოლოდ 4 პროცენტს აქვს წითური თმა. მსოფლიოში წითურთმიანების ყველაზე მაღალი პროცენტი არის შოტლანდიაში (13 პროცენტი), მას მოჰყვება ირლანდია (10 პროცენტი).

**20 პროცენტამდე შეიძლება, გასცვივდეს თმა ქალებს 40-50 წლის ასაკში.**

საშუალოდ 40-50 თმა სცვივა დღე-ღამეში ჯანმრთელ ადამიანს, ხანდაზმულებს – 100 და მეტი თმა.

თმები ინახავენ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა არის ადამიანის სისხლში, მათ შორის, მინერალები და ნარკოტიკები.

**თავის ხშირი ბანვა არ აძლიერებს თმების ცვენას.**

თმების ჯანსაღად შენარჩუნებისთვის რაციონში უნდა ჩავრთოთ კვერცხი, ორაგული, სტაფილო, მწვანე ბოსტნეული და C და D ვიტამინები.

**საშუალოდ 34 წელს იწყებენ გაჭაღარავებას ევროპული რასის წარმომადგენლები, მაშინ, როდესაც აფრიკელები და აზიელები – 47 წელს.**

ძველი ეგვიპტელები იყვნენ პირველები, რომლებმაც დაიწყეს არასასურველი თმების მოშორება სხეულიდან.

**ჰორმონალურმა დისბალანსმა და დიეტებმა შეიძლება მიგვიყვანოს თმების დროებით დაკარგვასთან.**

**კადრი**



**ცინცხალი ანეკდოტები**

**– მოშე, დაგენაცვლე, ხომ არ დაგავიწყდა ჩემი 100 დოლარი რომ გმართებს?**

**– რას ამბობ, აქეთ დაგენაცვლე, მაგას კუბოს ფიცრამდე როგორ დავივიწყებ!**

* * *

**– როგორი ურთიერთობა გაქვს ცოლთან, ხომ კარგად ხართ ერთმანეთში?**

**– კარგად რომელია, გადასარევად ვართ! რომ შემეკითხება რამეს, მერე პასუხსაც თავადვე იძლევა, ნახევარი საათის შემდეგ კი ერთი საათის განმავლობაში მიხსნის, თუ რაში არ ვიყავი მართალი.**

* * *

**– ჭიჭიკიას იმფერი შხამიანი სიდედრი ჰყავს, სახლში რომ მიდის, მანგუსტი მიჰყავს!**

* * *

**– რას რთავთ უფრო ხშირად ინფორმაციის მისაღებად – რადიოს, ტელევიზორს თუ კომპიუტერს?**

**– უთოს გენაცვალე, ჩვეულებრივ უთოს!**



**– ეს გოგიე იმფერი შტერია, რომ მისთვის ნებისმიერი დასალაპარაკებელი ენა ან მეორეა, ან უცხო!**

* * *

**– თქვენ კიბო გაქვთ!**

**– კი, მაგრამ გუშინ მითხარით, რომ თირკმლებში კენჭები გაქვსო.**

**– კი ბატონო, თირკმლებში კენჭები გაქვთ, კენჭების ქვეშ კი – კიბო!**

* * *

**იმისათვის, რომ ოჯახში მუდამ სიმშვიდე იყოს, საჭიროა სიყვარული, მოთმინება, გაგება და, სულ ცოტა, ორი ტელევიზორი მაინც.**

* * *

**მასწავლებელი – ეს ისეთი ქალია, რომელსაც ოდესღაც ეგონა, რომ ბავშვები უყვარდა.**

* * *

**დაკვირვებული კაცის ჩანაწერებიდან:**

**„შემჩნეულია, რომ თუ დიდი ქეიფის წინ ნახევარ კილოგრამ კარაქს შეჭამთ, გული ღვინისგან კი არა, კარაქისგან აგერევათ“.**

**ავტორთა საყურადღებოდ!**

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24